ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალექსი იასაშვილი

ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ინიციატივა – „თავდაცვითი შენგენი“

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: სერგი კაპანაძე

პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

თბილისი

2017

ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ინიციატივა – „თავდაცვითი შენგენი“ – ანოტაცია

ევროკავშირის ეკონომიკური სიძლიერის მიუხედავად ისტორიულად მის სუსტ მხარეს სამხედრო პოტენციალი წარმოადგენდა. 1950 წელს ევროპის თავდაცვის გაერთიანების შექმნის წარუმატებელი მცდელობის შემდგომ ევროკავშირს მრავალი ათწლეული დასჭირდა, რომ მოკრძალებული მასშტაბის ხისტი ძალის განზომილება განევითარებინა, რომლის ძირითად მოქმედების არეალს კრიზისების მენეჯმენტი და სამოქალაქო მისიები წარმოადგენდა.

2016 წლის ზაფხულში დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვების შესახებ რეფერენდუმის დასრულების შემდეგ ევროპელი ლიდერები ახალი, ამბიციური გეგმით გამოვიდნენ, რომელიც ევროპის თავდაცვითი ინტეგრაციისკენ გადადგმული ერთ–ერთ ყველაზე გაბედული ნაბიჯი იყო ბოლო წლების განმავლობაში. აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის მიზანს იმ მიზნების კვლევა წარმოადგენს, რამაც თავდაცვითი ინტეგრაციის ხელახლა დღის წესრიგში დაყენება გამოიწვია.

საკითხი აქტუალურია, ვინაიდან ცენტრალური მნიშვნელობა გააჩნია კონტინენტის სტრატეგიული არქიტექტურისთვის და მასთან პირდაპირაა დაკავშირებული მისი მოსაზღვრე რეგიონების, მათ შორის სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოება.

ნაშრომის საკვლევი კითხვა შემდგომში მდგომარეობს: რა გახდა 2016 წლის ზაფხულში ევროკავშირის თავდაცვის და უსაფრთოხების სფეროში ინტეგრაციის ინიციატივის მიზეზი? ეს განსაკუთრებით საინტერესოა იმ ფონზე, რომ ბოლო წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მხოლოდ უკუსვლა შეინიშნებოდა. ნაშრომის ჰიპოთეზით, საფრანგეთის და გერმანიის თავდაცვითი ინტეგრაციის ინიციატივა განპირობებული იყო პოლიტიკურ მოვლენათა კრიტიკული ნაერთით, კერძოდ დიდი

ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლით, აშშ–ის პოლიტიკის ცვლილებით ევროპის უსაფრთხოების მიმართ, რუსეთის აგრესიით აღმოსავლეთ უკრაინაში, ლტოლვილების კრიზისით და ევროპის კონტინენტზე ტერორიზმის საფრთხის გაზრდით.

დამოკიდებული ცვლადად კვლევის პროცესში 2016 წელს წამოყენებული თავდაცვითი ინტეგრაციის ინიციატივა იქნება, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები იქნება დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა , აშშ–ის პოლიტიკის ცვლილება ევროპის უსაფრთხოების მიმართ, რუსეთის აგრესია აღმოსავლეთ უკრაინაში, ლტოლვილების კრიზისი და ევროპის კონტინეტზე გაზრდილი ტერორიზმის საფრთხე.

თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებული იქნება პოლ პირსონის ევროინტეგრაციის თეორია, რასაც იგი ისტორიული ინსტიტუციონალიზმის პერსპექტივიდან ხსნის. აღნიშნული თეორია კარგად ხსნის კავშირს დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის და საკითხს ნათლად წარმოაჩენს. ნაშრომი კვლევის მეთოდებიდან იყენებს პირველადი და მეორადი წყაროების კონტენტ ანალიზს და დისკურს ანალიზს.

აღნიშნულ ნაშრომს შეუძლია სიახლე შეიტანოს ამ საკითხზე არსებულ ლიტერატურაში, ვინაიდან ინიციატივის წარდგენიდან ერთი წლის განმავლობაში არ შექმნილა ბევრი თეორიული კვლევითი ნაშრომი ამ საკითხზე, შესაბამისად ნაშრომი ამ მხრივ ღირებული შეიძლება აღმოჩნდეს და ამ სფეროთი დაინტერესებულ პირებს დეტალურ ინფორმაციულ ფონს შეუქმნის.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, უსაფრთხოება, თავდაცვა, BREXIT, რუსეთი, ნატო, ტერორიზმი, ინტეგრაცია

The European Defence Community Initiative – Schengen of Defence

Despite the economic might of the European Union, historically military potential has been its weakness. Since the failed attempt to create a defence union in 1950, it took the EU several decades to develop hard power of a moderate scale, with its primal focus on crisis management of civilian missions.

In summer of 2016 after the end of the BREXIT vote, European leaders proposed an ambitious plan which was one of the boldest defence integration initiative in years. The aim of this MA thesis is to research and find the reasons behind the move that put the defence integration on the EU agenda.

The topic is very actual since it has a key importance for the strategic architecture of the continent and the security of the neighboring regions, including the Sought Caucasus is directly connected to it.

The research question is as follows: What was the reason behind the EU defence integration initiative in summer of 2016? This is extremely interesting in the light of constant set-back that has been noticeable for the last several years. Based on the hypothesis of this work, the Franco-German defence initiative was triggered by a critical juncture of events, such as the Brexit, the change of the policy of the United States toward the European security, Russian aggression in the eastern Ukraine, the migrant crisis and the increased risk of terrorism on the European continent.

The defence integration initiative of 2016 is going to be the dependent variable of the research. As to the independent variables, those are going to be the Brexit, the change of the policy of the United States toward the European security, Russian aggression in the eastern Ukraine, the migrant crisis and the increased risk of terrorism on the European continent.

The European integration theory by Paul Pearson, who explains it from the perspective of Historical Institutionalism, will serve as a theoretical framework to this research as I believe that is a formidable theory to see the links between the independent and dependent variables. Content and Discussion analysis are going to serve as main methodological tools of the project.

This thesis has a potential to introduce something new to the already existing literature on the subject, since throughout the year since the launch of the initiative there have not been many theoretical researches published on this topic so in this regard the work can be a great value for those who are interested in this topic as it can provide a detailed information of the matter.

Keywords: European Union, security, BREXIT, Russia, NATO, terrorism, integration.

სარჩევი.....6

შესავალი.....7

ევროპული ხისტი ძალა ისტორიულ ჭრილში.....10

საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.....18

მრავალსიჩქარიანი ევროპა (Multi-speed Europe) 21

BREXIT როგორც იმპულსი გაბედული თავდაცვითი ინიციატივისთვის 23

ლტოლვილების კრიზისი, ტერორიზმი და რუსეთიდან მომდინარე საფრთხე.....33

თეორიული ჩარჩო.....38

„თავდაცვითი შენგენი“ პირსონის თეორიულ ჭრილში.....41

დასკვნა.....44

ბიბლიოგრაფია,,,

შესავალი

საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის მიერ წამოყენებულ ევროპული თავდაცვითი გაერთიანების პროექტს თამამად მოიხსენიებენ პოსტ–Brexit ევროპის ყველაზე თამამ ინიციატივად. 2016 წლის აგვისტოში იტალიურ ავიამზიდზე გამართული შეხვედრის შემდგომ, სამი ქვეყნის ლიდერებმა ესტაფეტა საკუთარ თავდაცვის მინისტრებს გადასცეს, რათა თამამი ინიციატივის ხორცშესხმა მომხდარიყო.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ პროექტზე გაკეთებულ პირველივე კომენტარებში ინიციატივის ავტორები ხაზს უსვამდნენ, რომ ევროპული თავდაცვითი გაერთიანება არ იქნება ნატოს წინააღმდეგ მიმართული და როგორც გერმანიის თავდაცვის მინისტრმა, ურსუალ ვონ დერ ლეიენმა აღნიშნა, „ეს ის რასაც ამერიკელები ჩვენგან [ევროკავშირის წევრებისგან] მოელიან“. (France, Italy and Germany take charge of a fast-paced project that could change defense architecture in Europe, 2016)

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად წონიანია ის არგუმენტი, რომ ძლიერი ევროპა, თავისთავად ძლიერ ნატოს ნიშნავს, ამგვარი თავდაცვითი რიტორიკა აჩენს ეჭვს, კერძოდ, თუ არ არსებობს საფუძველი, რომ გაერთიანების პროექტი ნატოს წინააღმდეგ მიმართულად ჩაითვალოს, მაშინ რატომ ხდება საჭირო ამ „აშკარა ჭეშმარიტების“ ასეთი ხაზგასმა? ამ საკითხს კვლევის პროცესში ყურადღებით განვიხილავთ და შევეცდებით არგუმენტირებით გამყარებულ მიზეზს მივაკვლიოთ.

ევროპული თავდაცვის სამოქმედო გეგმის თანახმად ევროპულმა კომისიამ წარადგინა ევროპის თავდაცვითი ფონდის დაფუძნების ინიციატივა წარადგინა, რომელიც უსაფრთხოების საკითხზე თანამშრომლობის სხვა კომპონენტებთან ერთად საბოლოო მიზნად წევრ ქვეყნებს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გააქტიურებას, მოსახლეობის უსაფრთოხების ზრდას და კონკურენტუნარიანი და ეფექტური სამხედრო ინდუსტრიული ბაზის შექმნას ისახავს. (European Defence Action Plan: Towards a European Defence Fund)

თუ ინიციატივას შინაარსობრივად განვიხილავთ, აშკარა ხდება, რომ ევროკავშირი ამ გეგმის რეალიზების შემთხვევაში aquis communitaire-ის 42(7) მუხლს გამოიყენებს ნატოს წესდების V მუხლის მსგავსად, რაც ნიშნავს, რომ ერთ წევრ სახელმწიფოზე თავდასხმა განიხილება, როგორც თავდასხმა ყველა დანარჩენზე, შესაბამისად ევროკავშირში კოლექტიური თავდაცვის ელემენტი გააქტიურდება. (France, Italy and Germany take charge of a fast-paced project that could change defense architecture in Europe, 2016)

კომისიის შეთავაზებით ევროპული თავდაცვის ფონდში იქნება ორი: კვლევითი და შესაძლებლობების მიმართულება. კვლევითი მიმართულება ძირითადად კონცენტრირებული იქნება ინოვაციური თავდაცვითი ტექნოლოგიების შექმნაზე. ამ მხრივ, კომისიამ 2017 წლის ბიუჯეტისთვის 25 მილიონის გათვალიწინება მოითხოვა. ეს თანხმა 2020 წლამდე შესაძლოა 90 მილიონამდე შესაძლოა გაიზარდოს, ხოლო 2020 წლის შემგომ კომისიას აქვს მოლოდინი რომ თავდაცვითი კვლევითი პროგრამები ყოველწლიურად 500 მილიონი ევროთი დაფინანსდება. (European Defence Action Plan: Towards a European Defence Fund)

რაც შეეხება შესაძლებლობების მიმართულებას, ე.წ. შესაძლებლობის ფანჯარას, ეს იქნება ერთგვარი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც უნდა დაეხმაროს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სამხედრო ტექნიკის და მოწყობილობების ერთად შესყიდვაში, რაც მათ თანხის დაზოგვის საშუალებას მისცემს და სავარაუდოდ წელიწადში 5 მილიარდი ევროს მობილიზებას შეუწყობს ხელს. (იქვე)

კომისიას ასევე ექნება დიდი როლი თავდაცვით სფეროში მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების და მოდერნიზაციის საკითხში. კომისიამ, ასევე, ცალკე მნიშვნელოვან მიმართულებად გამოყო საწარმოო უნარების ამაღლება წევრ ქვეყნებში, რათა ეფექტურად მოხდეს ინოვაციების გენერირება. (იქვე)

კომისია ასევე მიზნად ისახავს თავდაცვითი საერთო ბაზრის გაძლიერებას, რაც გულისხმობს დახმარებას რათა ევროპულმა კომპანიებმა შეძლონ რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით მოახდინონ თავდაცვითი ტექნიკის შესყიდვა. (იქვე)

ამასთან ერთად იგეგმება საერთო ევროკავშირის სამხედრო შტაბის დაფუძნება, რომლის ფუნქციონირებას ნატოსგან დამოუკიდებლად მოხდება. ამის თაობაზე ფრედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ ევროკავშირს შესაძლებლობა ექნება, რომ ნატოს მისიებში ერთიანი ძალით მიიღოს მონაწილეობა. (იქვე)

თავდაცვითი პროექტი ასევე ითვალისწინებს სამხედრო ინფრასტრუქტურის საერთო შესყიდვაზე გადასვლას და საერთო სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნას. მარტო ეს ფონიც საკმარისია, რომ აღნიშნული ინიციატივის 1954 ჩავარდნილ წინაპართან მსგავსება დავინახოთ.

აღსანიშნავია, რომ ევროპის თავდაცვით პოტენციალის განვითარების შესახებ მანამდეც ხშირად იყო საუბარი, განსაკუთრებით ევროკომისიაში, რომლის პრეზიდენტი, ჟან კლოდ იუნკერი აღნიშნავდა, რომ ევროკავშირი „რბილი ძალაა“, თუმცა ყველაზე ძლიერ რბილ ძალებსაც კი არ შესწევთ უნარი, რომ გაერთანებული თავდაცვით შესაძლებლობების გარეშე გაძლონ. ამიტომ იგი ხაზს უსვამდა რომ არაეფექტურია, როდესაც თავდაცვით ინფრასტრუქტურაზე გაწეული დანახარჯების 80% ეროვნულ დონეზე ხორციელდება და აუცილებელია თავიდან იქნეს აცილებული თავდაცვითი პროგრამების დუბლირება. (Juncker, 2014, გვ.4)

ევროპული ხისტი ძალა ისტორიულ ჭრილში

1991 წელს ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის მარკ ეისკენსის მიერ წარმოთქმული ფრაზა, რომ „ევროპა ეკონომიკური გიგანტი, პოლიტიკური ჯუჯა და სამხედრო ჭიაყელაა“ დღემდე აჩრდილივით დაჰყვება ევროკავშირს, თუმცა, როგორც ჩანს ამ ეტაპზე ევროპელ ტექნოკრატებს მეტი მოტივაცია გაჩნიათ იმისათვის, რომ ეს მიუღებელი რეალობა შეიცვალოს. (Willis, 2016, გვ.8)

ევროკომისიამ 2016 წლის გაზაფხულში ე.წ. თეთრი წიგნი გამოაქვეყნა, რომელიც თავდაცვით გაერთიანებასთან მიმართებაში თითქმის იგივე პათოსით იყო განმსჭვალული. უნდა აღინიშნოს ამგვარი დოკუმენტების როლი ევროკავშირის თავდაცვითი განზომილების ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ პირველი დოკუმენტი 1998 წელს დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მიერ ხელმოწერილი სეინტ მალოს დეკლარაცია იყო, რომლითაც „ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას“ (ESDP) ჩაეყარა საფუძველი და ხაზი გაესვა, რომ ევროკავშირს ესაჭიროება ავტონომიურად მოქმედების უნარი, რასაც ზურგს სამხედრო ძალა გაუმაგრებდა და მზად იქნებოდა საერთაშორისო კრიზისებიდან ნასაზრდოებ გამოწვევებზე საპასუხოდ. ამ მხრივ, უნარების ნაკლებობის დემონსტრირება ბოსნიის ომმა კარგად მოახერხა და ეს იყო მიზეზი, რატომაც 1999 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა ე.წ. Helsinki Headline Goal, რომლის თანახმადაც წევრ ქვეყნებს 2003 წლისთვის 50 000–60 000–მდე სამხედროს დისლოცირების უნარი უნდა ჰქონოდა 60 დღის ვადაში და შემდგომ მათი შენარჩუნება 1 წლის ვადით. (იქვე, გვ.9)

2004 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა 2010 წლის Headline Goal, რომელშიც უფრო მეტი აქცენტი ევროკავშირის შეარაღებული ძალების ფუნქციონალურ თავსებადობაზე, ასევე მათი განთავსების და შენარჩუნების უზრუნველყოფაზე გაკეთდა და მიზნად ისახავდა ევროკავშირის ე.წ. საბრძოლო ჯგუფების (EU Battlegroups) შექმნას, რომელიც მინიმუმ 1500 ჯარიკაცის 10 დღეში 30 დღემდე ვადით

დისლოცირებას გულისხმობდა. მიუხედავად მიღწეული კონსენსუსია, ევროკავშირის საბრძოლო დანაყოფების გამოყენება ჯერ არ მომხდარა. (იქვე, გვ.11)

ისევე როგორც დღეს, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ყოველთვის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, სჭირდება თუ არა ევროკავშირს საკუთარი ერთიანი შეიარაღებული ძალები. მთავარი მოწინააღმდეგე ბრიტანეთი იყო და დღესაც ბევრი ბრიტანელი პოლიტიკოსი დამცინავი ტონით საუბრობს ევროპული არმიის შექმნის პერსპექტივაზე, რადგანაც თვლიან, რომ ეს ეფუძნება რწმენას, რომ ევროკავშირი ერთი სახელმწიფოა, რაც, მათი აზრით, არასწორია და „მუდმივად დაახლოებადი კავშირის“ (Ever Close Union) კონცეფციასაც მტკიცედ ეწინააღმდეგებიან, ვინაიდან თვლიან, რომ ევროკავშირის არმიის შექმნა ნატოს სამხედრო შესაძლებლობებს დაუპირისპირდება ან სულ მცირე ხელს შეუშლის მას, ამიტომ სრულიად წარმოუდგენელია სამხედრო განზომილებების დუბლირება მოხდება ევროკავშირის ფორმატში.

2014 წელს ევროკომისიის პრეზიდენტმა, ჟან–კლოდ იუნკერმა პოლიტიკურ რეკომენდაციებში აღნიშნა, რომ ევროკავშირი ძირითადად „რბილ ძალას“ წარმოადგენს, თუმცა „ყველაზე ძლიერი რბილი ძალაც არ იქნება საკმარისი გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ არ იარსებობს რაიმე დონის ინტეგრირებული თავდაცვითი შესაძლებლობები“. (European Defence Action Plan: Towards a European Defence Fund)

ლიბიის მაგალითზე კარგად ჩანს, თუ რამდენად უუნარო და არაერთსულოვანი აღმოჩნდა ევროპა, რასაც დაემატა ისიც, რომ საერთო სამხედრო შტაბის არარსებობის გამო, მათ ისევ ნატოს ინფრასტრუქტურის, ძირითადად აშშ–ის დახმარება დასჭირდათ. (Common defence policy: Can European armies unite? Talking Europe) ევროპის თავდაცვით პოტენციალის განვითარების მომხრეებს ასევე ხშირად მოჰყავთ მაგალითად ევროპის ყველაზე წარმატებული ოპერაცია „ატალანტა“, რომელიც სომალიში განხორციელდა და ისინი ხაზს უსვამენ, რომ ნატოს სტრუქტურის ფარგლებში ვერასდროს მოხერხდებოდა კონსენსუსის მიღწევა ამგვარი მისიის

განსახორციელებლად, რადგან ნეიტრალური ქვეყნები, როგორიცაა ინდოეთი და ჩინეთი არ დათანხმდებოდნენ ნატოს ოპერაციაში მონაწილეობას, რადგან „ნატოს ყოველთვის ხელგაშლილი არ ხვდებიან“. ამის სანაცვლოდ ბრიტანელი ევროპარლამენტარების, მაგალითად ჯოფრი ვან ორდენის განცხადებით, ვინაიდან ევროკავშირის მიერ ამჟამად განხორციელებული მისიების უდიდესი ნაწილი სამოქალაქოა და კრიზისების მენეჯმენტს ეწევა, ევროკავშირმა სწორედ ეს ნიშა უნდა დაიჭიროს ნაცვლად იმისა, რომ „ჯარისკაცობანა“ ითამაშოს პოლიტიკური მიზნებისთვის. (იქვე)

2014 წელს, როდესაც საფრანგეთმა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სამხედროები გაგზავნა, მან ევროკავშირის წევრებისგანაც ითხოვა მხარდაჭერა, თუმცა ამ მხრივ ერთსულოვნება არ იგრძნობოდა და კარგად გამოჩნდა, რამდენად არაეფექტურია ევროკავშირის სამხედრო განზომილება. ქვეყნების ნაწილმა მათ შორის გერმანიამ, პოლონეთმა და ესტონეთმა მზადყოფნას გამოთქვეს რომ ოპერაციაში მონაწილეობა სხვადასხვა ფორმით მიეღოთ, იქნებოდა ეს ადგილობრივი სამართალდამცავების მომზადება, ჰუმანიტარული და ლოგისტიკური დახმარება და ცალკეულ შემთხვევებში სამხედროების დისლოცირება. ეს დანახული იყო როგორც პირველი ნაბიჯები ევროკავშირის სამხედრო ქმედითუნარიანობის მობილიზებისთვის, თუმცა იმ პერიოდშიც გაერთიანებული სამეფოს პრემიერი დევიდ კამერონი ხაზს უსვამდა, რომ ევროკავშირს არ სჭირდება სამხედრო განზომილება, რადგან სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა წევრი ქვეყნების სუვერენულ უფლებას წარმოადგენს და ამ საკითხზე გადაწყვეტილება ნებაყოფლობითობის საფუძველზე უნდა მიიღებოდეს და ბრიუსელის კარნახის მიხედვით, რომელიც კავშირის ამბიციებითაა ნაკარნახევი. (იქვე)

საფრანგეთის მიერ მიღებული უნილატერალური გადაწყვეტილება არაერთგვაროვნად იქნა აღქმული ევროპარლამენტარები მხრიდან. ბერძენი ევროპარლამენტარის მარია ელენი კოპპას განცხადებით, საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მომავლისთვის საფრანგეთის ეს ნაბიჯი არ იყო სწორი,

რადგან მან დახმარება, მხოლოდ ცალმხრივად მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ითხოვა და ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებთან კონსულტაცია არ გაუვლია. (იქვე)

ევროკომისიის პრეზიდენტის ჟან კლოდ იუნკერის მიერ გერმანული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, იგი აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას, რომ ევროკავშირის არმია შეიქმნება არა იმისთვის, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს მისი გამოყენება, არამედ ეს იქნება მესიჯი რუსეთისთვის, რომ ევროკავშირი მზადაა დაიცვას საკუთარი ღირებულებები. თუმცა ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის ყოფილმა ლიდერმა ნაიჯელ ფარაჯმა მას საჯაროდ მოუწოდა განემარტა, თუ ვის მოტყუებას ცდილობდა იგი ამ განცხადებით. (იქვე)

ჟან კლოდ იუნკერს ასევე ხშირად ადანაშაულებენ, რომ მან საკუთარი რიტორიკით და ინიციატივებით ნატოს პრესტიჟს ლახავს, განსაკუთრებით მისთვის რთულ პერიოდში, როდესაც მას სისუსტეში ადანაშაულებენ, რადგან ვერ შეძლო ეფექტურად შეეჩერებინა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და არაა ქმედითი აღმოსავლეთ უკრაინის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. (იქვე)

ბრიტანული Think Tank-ის Open Europe-ის დირექტორის მეტს პერსონის განცხადებით ევროპის არმია ის ინიციატივაა, რომელსაც ევროპარლამენტარები თავდაჯერებულად დაუჭერენ მხარს, რადგან იციან რომ იგი არასოდეს განხორციელდება. ამასთან ექსპერტებს ეჭვი შეაქვთ, რამდენად შესაძლებელი იქნება ამგვარი არმიის შექმნის შემთხვევაშიც კი რაიმეზე შეთანხმება, რადგან არსებობს მრავალი მაგალითი, თუნდაც სირიის და ლიბიის, როდესაც ევროპის ქვეყნები ვერ თანხმდებოდნენ, როგორი უნდა ყოფილიყო მათი პასუხი კრიზისზე – ჯარისკაცების გადასხმა, საჰაერო იერიშები, ლოგისტიკური მხარდაჭერა, თუ რაიმე სხვა სახის დახმარება. ეს კი ბუნებრივია ძირს უთხრის იუნკერის მესიჯს ძალის პროეცირებაზე, რადგან რეგიონზე მომუშავე ექსპერტებს შორის არსებობს კონსენსუსი, რომლის თანახმადაც რეალური ძალის პროეცირება აშშ–ის გარეშე ამ ეტაპზე შეუძლებელი ამოცანაა.

ახალი ინიციატივის მთავარი მოწინააღმდეგემ, დიდმა ბრიტანეთმა რეფერენდუმით ევროკავშირის დატოვებას მისცა ხმა და ამჟამად ინიციატივის ერთ–ერთი ყველაზე დიდი კრიტიკოსის ადგილი ირლანდიამ დაიკავა. თუმცა ამ ეტაპზე, მოწინააღმდეგეთა გუნდი ცალსახად უმცირესობაშია. ევროპის სახალხო პარტიის ერთ–ერთი წარმომადგენლის, პოლონელი ევროპარლამენტარის იაცეკ სარიუს–ვოლსკის განცხადებით, გერმანულ–ფრანგული ინიციატივა სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, თუმცა არასაკმარისია, რადგან ძირითადად ტრანსპორტირებას, სამედიცინო დახმარებას, ლოგისტიკას და საზღვრის დაცვას გულისხმობს და ძირითადად სამხრეთისკენაა მიმართული, მაშინ როდესაც იუნკერმა ევროპული არმიის მიზნად რუსეთის შეკავება დაასახელა და ბუნებრივია, პოლონეთისთვის მთავარი საფრთხე არა დასავლეთიდან, არამედ აღმოსავლეთიდან მომდინარეობს. თუმცა აღნიშნული ინიციატივის მომხრეებიც, მათ შორის პოლონეთი უარყოფს არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ხდება სამხედრო განზომილების უსარგებლო დუბლირება და ხაზს უსვამენ, რომ ევროკავშირის არმია გახდება ნატოს ევროპული საყრდენი. (იქვე)

ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ დღესდღეობით დაახლეობით 3000 ჯარისკაცია დისლოცირებული ევროკავშრის ოპერაციების ფარგლებში – ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და ბოსნიაში, სადაც ევროკავშირის ჯარები 1995 წლის დეიტონის ხელშეკრულების იმპლემენტაციას უწევენ მონიტორინგს. ასევე ევროკავშირს ამ ეტაპზე გააჩნია სასწავლო პროგრამები სომალისა და მალიში. ამასთან 2008 წლიდან ევროკავშირი სომალის ნაპირებთან მეკობრეების წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციაშია ჩართული. (იქვე)

აშკარად იკვეთება მკვეთრი კონტრასტი ევროკავშირის ქვეყნების მიერ თავდაცვისთვის ბიუჯეტში შეტანილი თანხის თვალსაზრისით. ამჟამად საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და ესპანეთის მიერ ივსება ევროკავშირის თავდაცვითი ბიუჯეტის დაახლოებით 80%.

ასევე დისკუსიის საგანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ე.წ. საბრძოლო ჯგუფები (EU Battlegroups) ამ დრომდე არ გამოყენებულა და ისმის ლოგიკური კითხვა: სჭირდება ევროკავშირს არმია?

კიდევ ერთი მნიშნელოვანი პრობლემა, რასაც პოლონელმა ევროპარლამენტარმაც გაუსვა ხაზი მდგომარეობს საფრთხეების აღქმის ერთიანობის არარსებობაში. ეს ბუნებრივია გეოგრაფიით არის განპირობებული და ნაწილობრივ ამითაც აიხსნება სხვადასხვა ქვეყნების განსხვავებული მოტივაცია აქვთ, რომ მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის მიერ დაგეგმილ ოპერაციებში.

2016 წლის ივნისში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ფედერიკა მოგერინის მიერ წარმოდგენილი გლობალური სტრატეგიის მიხედვით იგი ევროკავშირის მასშტაბით ინტეგრირებული უსაფრთხოების გაერთიანების მოწოდებით გამოდიოდა, რათა ევროკავშირს ჰქონოდა უნარი ეფექტურად ეპასუხა მის წინაშე არსებულ გამოწვევებზე. სწორედ ამას მოყვა გერმანელი და ფრანგი საგარეო საქმეთა მინისტრების გაფრთხილება, რომ ევროკავშირის ეროზია ხდება და ამის გასამკლავებლად სამხედრო სფეროში უფრო მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო.

2016 წლის 16 სექტემბერს შემუშავებულ ბრატისლავას დეკლარაციაში, ევროკავშირის 27 წევრი ქვეყანა შეთანხმდა, რომ გაიზრდებოდა თანამშრომლობა, როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეებთან მიმართებაში. ეფექტურად მოხდებოდა იმ ინსტრუმენტების გამოყენება თავდაცვის სფეროში, რომლებიც უკვე შეთანხმებული ხელშეკრულებებით იყო გათვალისწინებული და რომ მოხდებოდა ნატო–ევროკავშირის დეკლარაციის პუნქტების ამოქმედება.

იმავე წლის 15 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მისი აღებული ვალდებულებას ევროკავშირის შიდა უსაფრთხოების სტრატეგია 2015–2020 წლებისთვის და ასევე გაკეთდა მოწოდებების ევროკავშირის თანამშრომლობის გაძლიერებისთვის საგარეო უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებში. ევროპული საბჭოს პრიორიტეტები ძირითადად სამი მიმართულებით გაიშალა, კერძოდ ევროპის

გლობალური სტრატეგიის, ევროპის თავდაცვის სამოქმედო გეგმის და ნატო–ევროკავშირის ერთიანი დეკლარაციის იმპლემენტაციის საკითხებზე.

გასათვალისწინებელია, რომ ლისაბონის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ე.წ. პერმანენტული სტრუქტურირებული თანამშრომლობა Permanent Structured Cooperation (PESCO), რომელიც საშუალებას აძლებს ევროკავშირს წევრ ქვეყნებს, რომ ითანამშრომლონ სამხედრო საკითხებზე. (Mützel, 2016) თანაც ეს არ მოითხოვს ერთსულოვან გადაწყვეტილებას

საფრანგეთის ახლადარჩეული პრეზიდენტის ემანუელ მაკრონმა ღიად განაცხადა, რომ სურს ევროკავშირმა „სტრატეგიულ ავტონომიას მიაღწიოს და რომ საჭიროა ევროპის ქვეყნებმა ისწავლონ რომ ვაშინგტონს გრძელვადიან პერსპექტივაში სურს სულ უფრო ნაკლებად უწევდეს ზრუნვა ევროპის უსაფრთხოებაზე. (Samuel. 2017)

აღსანიშნავია, რომ ევროპის სამხედრო შტაბი უკვე დაფუძნდა, თუმცა მას მოიხსენიებენ როგორც MPCC (Military Planning Conduct and Capability facility) ანუ სამხედრო დაგეგმვის და შესაძლებლობების დაწესებულება. ევროსკეპტიკოსებმა აღნიშნული ინიციატივა თავიდანვე არასერიოზულად მიიჩნიეს, რადგან ჩათვალეს, რომ ეს სხვა არაფერია თუ არა ერთგვარი „ქოლ ცენტრი“. ე. (Samuel. 2017) აღნიშნულ ცენტრს, ყოველი შემთხვევისთვის, ამ ეტაპზე, არ აქვს ოპერაციების მართვის შესაძლებლობა, შესაბამისად, იგი ვერ ჩაითვლება მოქმედ შტაბად, რადგან მას მხოლოდ ევროკავშირის მისიების მეთვალყურეობა და მონიტორინგი შეუძლია. ე. (Samuel. 2017) მისი პირველი მისია სომალიში, მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში დისლოცირებული სამხედრო სასწავლო მისიების მონიტორინგი იქნება. (იგივე)

მიუხედავად იმისა, რომ ევროსკეპტიკოსები ამ ნაბიჯის მკვრადშობილ ნაწილს უსვამენ ხაზს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ინიციატივა ხორციელდება იმ დროს, როდესაც ჯერ არ არსებობს ფართო კონსენსუსი იმაზე, სჭირდება თუ არა ევროკავშირს გაზრდილი სამხედო პოტენციალი. აღნიშნული ნაშრომის მთავარი მიზანიც იმის

დემონსტრირებაში მდგომარეობს, რომ ევროკავშირისთვის არაა რევოლუციური აღნიშნული ინიციატივა და რომ ისტორიულად საფუძველის მომზადება ჯერ კიდევ იმ დროიდან დაიწყო, როდესაც საფრანგეთმა ევროპული არმიის გეგმა პირველად ჩააგდო. თუ იმ პერიოდისთვის ევროკავშირის არმიის თემა არა მარტო ბრიტანეთისთვის, არამედ წევრი ქვეყნების უმეტესობისთვის წარმოადგენდა ანათემას, ვინაიდან სუპრანაციონალური ელემენტები სხვა სფეროებშიც კი არაკომფორტული და არაპოპულარული იყო და ქვეყნების უმეტესობა ამას ეროვნული მთავრობების დისკრედიტაციის და სუვერენიტეტისთვის ძირგამომთხრელ ტენდენციად აღიქვამდა.

დღეს ზეეროვნული ინსტიტუტების მიმართ მეტი ნდობის ფონზე, ისეთი ნაციონალისტური ქვეყნებიც კი როგორც საფრანგეთია, აქტიურად უჭერს მხარს სამხედრო სფეროში ინტეგრაციას და უფრო მეტიც, ემანუელ მაკრონმა ბევრის გასაკვირად თავდაცვის მინისტრად ფედერალისტი ევროპარლამენტარი სილვი გოულარდი დანიშნა. http://www.telegraph.co.uk/news/2017/05/20/new-eu-army-headquarters-branded-little-call-centre/ მიუხედავად იმისა, რომ ღიად ევროპული არმიის შექმნაზე, მხოლოდ ჟან–კლოდ იუნკერი საუბრობს, ხოლო წევრი ქვეყნების რიტორიკა, ძირითად თავდაცვით ინტეგრაციას არ ცდება, კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელი ბრიტანელი ევროპარლამენტარის ჯეფრი ვან ორდენის განცხადებით, ეს ნაბიჯი [ევროკავშირის თავდაცვითი ფონდის შემქნა] გარდაუვლად მიანიშნებს, რომ ეს უფრო დიდი ამბიციის ნაწილია, კერძოდ, იმედები დამოუკიდებელი თავდაცვითი შესაძლებლობების ანუ ევროკავშირის არმიის შექმნას ემყარება. ე. (Samuel. 2017)

ამ ყოველივესთან ერთად ისიც აშკარაა, რომ ევროკავშირი პასუხობს მისი მოსახლეობის სურვილებს, რომელთა დაახლოებით ორ მესამედს 2016 წელს ჩატარებული Eurobarometer-ის კვლევის თანახმად სურს ევროკავშირის მეტი ჩართულობა უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაში. (Besch, 2016, გვ.2)

ლიტერატურული მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის შესაძლო სამხედრო პოტენციალზე აკადემიური დებატები მრავალი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობს და არაერთი კვლევით ნაშრომი შეიქმნა. 2016 წლის ფრანგურ–გერმანული ინიციატივის, როგორც ევროპული ხისტი ძალის შექმნის ახალი იმპულსის შესახებ თეორიზებული ნაშრომების აშკარა სიმწირე შეიმჩნევა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ამ ეტაპზე არაა ხელშესახები შედეგები, გარდა მაღალ დონეზე გაკეთებული განცხადებებისა და დეკლარაციებისა. თითქოს ყველა თანხმდება, რომ ევროკავშირი მის წინაშე არსებულ გამოწვევებს მხოლოდ რბილი ძალით ვერ გაუმკლავდება. ევროპული რეფორმების ცენტრის მკვლევარის, სოფია ბეშის მოსაზრებით, ბრიუსელში, პარიზსა და ბერლინში ლიდერების მხარდაჭერა ამ ინიციატივის მიმართ განპირობებულია ტრანატლანტიკურ კავშირებში წარმოქმნილი გაურკვევლობით და ამის ფონზე უფრო ძლიერი და უკეთ ინტეგრირებული ევროპული თავდაცვითი ინდუსტრიის განვითარება, სამხედრო შესაძლებლობების ზრდაში მეტი რესურსის ჩადება და მართვის და კონტროლის სტრუქტურების ეფექტურობის გაზრდა სწორედ ამ გაურკვევლობის დაბალანსებისკენაა მიმართული. ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა და Brexit შეიძლება უბიძგებს ევროპას მეტი კოორდინაციისკენ და ერთიანობისკენ, თუმცა ავტორის აზრით, ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ერთიანობა ავტომატურად მიიღწევა და რომ ევროკავშირს ქმედითი სამხედრო პოტენციალისგან დიდი დრო და მანძილი აშორებს. (Besch. 2016. გვ.10) ის ფაქტი, რომ ევროკავშირი ბრიტანეთის გასვლით 10 მილიარდი ევროს კონტრიბუციას კარგავს საკუთარ, განსაკუთრებით მატებს ძალას იმ სკეპტიციზმს, რაც თავდაცვითი შენგენის ინიციატივის მიმართ არსებობს. (იქვე)

მკვლევართა ნაწილი სკეპტიკურად აფასებს ევროპის მიერ თვითკმარი შეიარაღების წარმოების შესაძლებლობას, რადგან მათი აზრით ეს მნიშვნელოვან რესურსების უკმარისობასთან იქნება დაკავშირებული. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ აშშ–ის სამხედრო საწარმოო სექტორი ევროპის სამხედრო ინდუსტრიაზე

მოცულობით დაახლოებით ორჯერ მეტია და იმ პირობებში როდესაც ევროპაში 6 კომპანია აწარმოებს სამოქალაქო დანიშნულების თვითმფრინავებს, 6 – გამანადგურებლებს, 3– ვერტმფრენებს, 12 – რაკეტებს, აშშ ამ დროს გაცილებით უფრო ეფექტურად იყენებს საკუთარ რესურსებს და მაგალითად გამანადგურებლების წარმოებაში კონცენტრირებულია F-22-ზე რომელაც კომპანია Lockheed და Boeing აწარმოებენ. (Guay, გვ.33), ეს ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომე ევროპამ ამ მიმართულებით რესურსები არ უნდა მიმართოს, თუმცა დღევანდელ მდგომარეობაში, ეს გრძელვადიან პერსპექტივად განიხილება.

კვლევითი ორგანიზაცია RAND-ის მიერ გამოქვეყნებულ ანალიზში, საუბარია იმ შესაძლებლობებზე რომელიც შესაძლოა ევროკავშირს დიდი ბრიტანეთის გასვლის შემდგომ გაუჩნდეს – ერთ–ერთი ყველაზე აშკარა EDA–ის ბიუჯეტის გაზრდა და ინტეგრაციის გაღრმავებაა, თუმცა ასევე ხაზგასმულია, რომ ბრიტანეთის გასვლის შემდეგ ევროკავშირის როგორც სამხედრო აქტორის წონა სერიოზულ დარტყმას მიიღებს. ნაშრომში ასევე ხაზგასმულია ზოგიერთი ექსპერტის ეჭვიც, რომ Brexit-ის შემდგომი ბრიტანეთის აქტიურობა ძირითადად რიტორიკული იქნება და მიზნად პოლიტიკური ერთიანობის დემონსტრირებას უფრო ისახავს, ვიდრე რაიმე ჭეშმარიტ მცდელობას რომ ევროპის სამხედრო პოტენციალის გამოღვიძება მოხდეს რამდენიმე წლიანი უკუსვლის შემდგომ. (Rand Corporation, 2017)

ბენჯამინ კიენზე და ინეზ ვონ ვეიტერშაუზენის კვლევის თანახმად, ევროკავშირის ისედაც რთული პოლიტიკის შემუშავების პროცესი კიდევ უფრო გართულდება, თუმცა შრომის კიდევ უფრო მეტად დანაწილება და შენარჩუნებადი შედეგების მიღწევა საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვითი თანამშრომლობის მიმართულებით ევროპის მთავარს პრიორიტეტად იქცევა და ამ მხრივ თანამშრომლობა შესაძლოა მომავალში უფრო მეტადაც გააქტიურდეს. (Kienzle, 2017)

ჯოზეფ ჯანინგის აზრით 1990–იანი წლები ევროპისთვის კრიტიკული მნიშვნელობის იყოს, რადგან მაშინ ევროპის თავდაცვის სტრუქტურების განვითარებისთვის, ამ საკითხზე დებატებისთვის შესაფერისი დრო იყო, თუმცა

ევროპამ ვერ გამოიყენა ეს მომენტი, რომ შეექმნა ევროპის ტერიტორიული თავდაცვის განზომილება, რომელიც წარმოადგენდა პროექტს, რომელზეც ევროპელებს დიდი თანხები აქვთ დახარჯული ისტორიის იმ პერიოდებში, როცა კონტინენტი დაყოფილი იყო. ავტორის აზრით, ახლა, როდესაც ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში მთავრობათშორისი ტრენდი იყო დომინანტური ევროპის უსაფრთხოების საკითხებში, ფაქტიურად შეუძლებელია კოლექტიური ევროპული თავდაცვის სტრუქტურის შექმნა. ჯანინგის აზრით, ბოლო 20 წლის განმავლობაში ევროპამ გაცილებით მეტი ნაბიჯი გადადგა, როგორც სამხედრო სფეროში თანამშრომლობის, ისე შესყიდვების კოორდინირების საკითხში, ვიდრე 20 წლის წინ, თუმცა ეს მისი აზრით მაინც არასაკმარისია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პოტენციალის განვითარების შანსები არსებობს, ეს ნაკლებად მოსალოდნელია და ავტორის აზრით დღევანდელ რეალობაში, ისეთი საკითხები, რომლებიც ნაკლებად მოსალოდნელია, მალევე ხდება შეუძლებელია. ავტორის აზრით, ასეთი ნაბიჯის შედეგი, რომელმაც ჩანაფიქრში ევროპის ერთიანობა და მყარი პოზიცია უნდა წარმოაჩინოს, უფრო მეტად გაუსვამს ხაზს მის ფუნდამენტურ სისუსტეებს და ერთიანობის რღვევის ელემენტებს სააშკარაოზე გამოიტანს, ვინაიდან გამოჩნდება რამდენი აზრთა სხვადასხვაობა და დაპირისპირებები არსებობს, რა დონის უნდობლობას და მტრობას აქვს ადგილი ჩრდილოეთსა და სამხრეთს, აღმოსავლეთს და დასავლეთ, მდიდარს და ღარიბს, დიდსა თუ პატარას შორის. (Janning, 2016)

ბელგიის ყოფილი პრემიერ მინისტრის გაი ვერჰოფშტადტის განცხადებით, ევროპისთვის დასრულდა პერიოდი, როდესაც აშშ ზრუნავდა მის უსაფრთხოებაზე, რადგან დონალდ ტრამპმა იცის, რომ ევროპას აქვს ფული, ტექნოლოგიები და ნოუ–ჰაუ იმისათვის რომ აშშ–ის დონის გლობალური ძალა გახდეს და რომ ერთადერთი რაც ევროპას აკლია, ეს არი პოლიტიკური ნება, რომ საკუთარი სრული პოტეიციალი გამოიყენოს. ვერჰოფშტადტის აზრით, დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტება ევროკავშირისთვის გამოსაფხიზლებელი ზარი უნდა იყოს, რათა გააცნობიეროს რომ მისი ბედი მის ხელშია. ავტორი ეთანხმება იმ აზრს, რომ ის დესტაბილიზაციის კერები

და უპასუხო გამოწვევები, რომლის წინაშეც დღეს ევროკავშირი იმყოფება, დიდწილად იმის ბრალია, რომ ევროკავშირმა ეს დაუშვა. მისი აზრით ევროკავშირმა უნდა გააქტიუროს ორმხრივ და მრავალმხრივი, მათ შორის რეგიონული ურთიერთობები და ეს ყველა ურთიერთობა ერთიან ევროპულ სარდლობას უნდა დაუქვემდებაროს, ერთიანი დაფინანსებით და საერთო თავდაცვითი შესყიდვების სისტემის. ავტორის აზრით, ევროპას ფეხს ითრევდა ამ გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა ახლა ტრამპის გაპრეზიდენტების პირობებში, ლოდინის დრო აღარ დარჩა. (Verhofstadt, 2016)

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ევროკავშირის ქვეყნები შეთანხმდებიან თავდაცვითი ბიუჯეტის ზრდაზე, ამ გაზრდილი ბიუჯეტის რეალურ, ქმედით სამხედრო პოტენციალში გარდაქმნას დიდი დრო დასჭირდება. ამ რეალობის ფონზე, გასაკვირი არაა, თუ რატომ ცდილობენ თავდაცვითი ინიციატივის ავტორები იმის ხაზგასმას, რომ ევროპული თავდაცვის კომპონენტი არ ეწინააღმდეგება ნატოს, ვინაიდან არავის უნდა, რომ მოულოდნელად უსაფრთხოების ქოლგის, არ უბრალოდ არაეფექტური უსაფრთხოების სტრუქტურის ამარა დარჩეს, ეს კი შესაძლო რეალობაა, თუ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრებს შორის ერთიანობის და ნდობის განცდა მოიშლება. (Maddox, 2017)

მრავალსიჩქარიანი ევროპა (Multi-speed Europe)

ბოლო პერიოდში აქტუალური განხილვის საგანი გახდა მრავალსიჩქარიანი ევროპის ფენომენი. „მრავალსიჩქარიანი“ ევროპა გულისხმობს განსხვავებული ინტეგრაციის მეთოდს, რომლის შედეგადაც ინტეგრაციას ახორციელებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ის ჯგუფები, რომლებიც მზადყოფნას

გამოხატავენ და შესწევთ ამის უნარი. აქ ასევე იგულისხმება, რომ დანარჩენი ქვეყნები ინტეგრაციის პროცესს მოგვიანებით შეუერთდებიან. (EU-lex)

თუმცა ბევრი თვლის, რომ ამ ფენომენში ახალი არაფერია გამომდინარე იქიდან, რომ შენგენი უკვე დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებს და ევროკავშირის წევრი ზოგიერთი ქვეყანა მას არ უერთდება. ინტეგრაციის მომხრეთა არგუმენტებით, ამგვარი ტენდენცია ევროპის ერთიანობას შეარყევს და გაიზრდება პირველ და მეორე დონის წევრ სახელმწიფოებად დაყოფის პრაქტიკა. ამასთან მნიშვნელოვნად შეირყევა ევროპული სოლიდარობის განცდა და ქვეყნების ნაწილი თავს მარგინალიზებულად ჩათვლის და ეს ბუნებრივია უნდობლობის გაღვივების დამატებით იმპულსს გააჩენს. ამ ყველაფერთან ერთად, ლოგიკურია ის არგუმენტიც, რომ მოხალისეთა კოალიციით გაგრძელებული ინტეგრაციის პროცესი ევროკავშირის ისედაც რთულ ინსტიტუციურ და გადაწყვეტილების მიღების არქიტექტურას, კიდევ უფრო გაართულებს, თუმცა სადაოა, რამდენად უნდა მოხდეს ამ არგუმენტის გამო, ინტეგრაციის ამგვარ მოდელზე უარის თქმა. (იქვე)

რაც შეეხება ამ მოდელის მომხრეებს, ისინი ხაზს უსვამენ, რომ ინტეგრაციის პროცესის მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი ყოველთვის ცალკეული ქვეყნების წინააღმდეგობა იყო და რომ არა ბრიტანეთის წინააღმდეგობა, საფრანგეთის და გერმანია დიდი ხნის წინ შექმნიდნენ ძლიერ გაერთიანებას და არც პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია გაჭიანურდებოდა. ისინი ასევე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ მეთოდში ახალი არაფერია და ამის მაგალითად შენგენი მოჰყავთ, როგორ დემონსტრაცია იმისა, რომ მოხალისეთა კოალიციის მიერ შექმნილი პროექტი მუშაობს, შესაბამისად იქმნება საფუძველი იმ ვარაუდისთვის, რომ სხვა სფეროებშიც შესაძლებელია მსგავსი წარმატების მიღწევა. ამ მეთოდის მომხრეები ასევე მოუწოდებენ მოწინააღმდეგეებს გააცნობიერონ ის ფაქტი, რომ პოლიტიკის ერთ ჩარჩოში ვერ მოაქცევ რადიკალურად განსხვავებული ეკონომიკური თუ პოლიტიკური მახასიათებლების მქონე ქვეყნებს, ვინაიდან ეს მხოლოდ

კონტრპროდუქტიული შეიძლება აღმოჩნდეს. (Arguments for and against a multi-speed Europe)

BREXIT როგორც იმპულსი გაბედული თავდაცვითი ინიციატივისთვის

დიდი ბრიტანეთის სკეპტიციზმი ევროკავშირის შესაძლო ხისტი ძალის მიმართ დიდად არ შეცვლილა ბოლო 70 წლის განმავლობაში. იგი თავიდანვე დაინტერესებული იყო ეკონომიკური სარგებლით თუმცა ურყევად მიაჩნდა, რომ სამხედრო ძალის გამოყენება ეროვნული მთავრობების პრეროგატივად უნდა დარჩეს. 1955 წელს ბრიტანეთის წარმომადგენელმა ფრედერიკ ბრეტერტონმა სპააკის კომიტეტიდან წასვლის წინ მის კოლეგებს მიმართა: "ჯენტლმენებო, თქვენ მოლაპარაკებებს აწარმოებთ ისეთ საკითხზე, რაზეც ვერასოდეს შეთანხმდებით, თუ შეთანხმდებით, არ მოხდება მისი რატიფიცირება, ხოლო თუ მოხდება რატიფიცირება, ის არ იმუშავებს." მიუხედავად დიდი ბრიტანეთის შენარჩუნებული სკეპტიციზმისა, ბრეტენტონის შეხედულებები დიდწილად არ გამართლდა, რადგან ევროკავშირი გასცდა ეკონომიკური გაერთიანების მოდელს და რიგ საკითხებზე ფართო პოლიტიკურ კონსენსუსს აღწევს. ისიც ცალსახაა, რომ მიუხედად მოკრძალებული მასშტაბებისა, ევროკავშირის სამხედრო პოტენციალი გაცილებით მეტია, ვიდრე ბევრ ევროსკეპტიკოსებს წარმოედგინა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე ძლიერ სამხედრო ძალად შეიძლება ჩაითვალოს ვინაიდან ის ფლობს სამხედრო შეკავების ფართო სპექტრს, მათ შორის ბირთვულს, იგი არასდროს ყოფილა ყველაზე გულუხვი მონაწილე ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის

პოლიტიკაში. (Institute for Government) ამის მიუხედავად, ევროკავშირი სამშვიდობო მისიების განხორციელების დროს დიდწილად ბრიტანეთის სამხედრო რესურსებს ეყრდნობოდა.

დიდი ბრიტანეთი ისტორიულად ეწინააღმდეგება „Ever Closer Union"-ს სამხედრო სფეროში. ბოლო 6 წლის განმავლობაში იგი აქტიურად ებრძოდა ევროპის თავდაცვითი სააგენტოს ბიუჯეტის ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ მისი მთავარი მოქმედები არეალი სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ თავად საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ინიციატივას საფუძველი დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ჩაუყარეს 1998 წლის სეინტ მალოს სამიტის შემდეგ, რადგან იმ პერიოდში კარგად გამოჩნდა ევროკავშირის უუნარობა თავიდან აეცილებინა სისხლისღვრა ბალკანეთში. (იქვე) აქ შეგვიძლია გავავლოთ კრიტიკული პარალელი: ევროკავშირის გაბედულ ნაბიჯებს უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში წინ უძღოდა მისი დემონსტრირებული უუნარობა ეფექტურად ეპასუხა გამოწვევებისთვის.

გერმანიის, საფრანგეთის და იტალიის მიერ გაჟღერებული ინიციატივის ერთ–ერთი პირველი საფეხური საერთო სამხედრო შტაბის შექმნა იყო. ეს ინიციატივა ახალი ნამდვილად არაა, თუმცა საერთო სამხედრო შტაბის შექმნის იდეას დიდი ბრიტანეთი მუდამ ვეტოს ადებდა. გამომდინარე აქედან, ევროკავშირმა შესაძლოა დაკარგა ერთ–ერთი მსხვილი კონტრიბუტორი თავდაცვით ბიუჯეტში, თუმცა მას ხელ–ფეხი გაეხსნა თამამი ინიციატივებისთვის. ბუნებრივია, საერთო ჯამში Brexit-ის შედეგად დაზარალდა ევროკავშირის არა მხოლოდ რესურსები, არამედ პრესტიჟიც, რადგან ამ პერიოდამდე არც ერთ ქვეყანას არ დაუტოვებია კავშირი, თუმცა ყოფილა შემთხვევები როცა კანდიდატ ქვეყანას რეფერენდუმის შედეგად უარი უთქვამს (ნორვეგია).

ცალსახაა, რომ ევროკავშირის დატოვება არ უნდა გავიგოთ, როგორც დიდი ბრიტანეთის ჩამოშორება კონტინენტისგან. გეოგრაფიის შეცვლას დიდი ბრიტანეთი ვერ შეცვლის, ამიტომ სხვა ფორმით, მაგრამ მაინც მოუწევს ზრუნვა კონტინეტის

უსაფრთხოების არქიტექტურაზე. ევროპული პოლიტიკური კვლევების ცენტრი იმასაც არ გამორიცხავს, რომ დიდმა ბრიტანეთმა განაგრძოს საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკაში მონაწილეობა, თუმცა უკვე მესამე ქვეყნის ამპულაში. ამით ბუნებრივია სარგებელს მიიღებს ევროკავშირიც, ვინაიდან გამოიყენებს ევროპის ერთ–ერთ ყველაზე ძლიერი ჯარის მქონე ქვეყნის რესურსებს და აღარც გადაწყვეტილების მიღების პროცესი დაბრკოლდება სამხედრო სფეროში ინტეგრაციის გზაზე. (Faleg, 2016) თუმცა ბუნებრივია, სანამ ეს განხორციელდება ევროკავშირმა ჯერ ბრიტანეთის კავშირიდან გასვლის მოლაპარაკებები უნდა დაასრულოს წარმატებით და მოგვიანებით მასთან ახალი თანამშრომლობის ფორმა შეიმუშაოს, მათ შორის, უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საერთო უსაფრთოხების და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბების თაობაზე მიღწეული შეთანხმების პერიოდში ბრიტანეთი პოზიტიურ როლს თამაშობდა ევროკავშირის სამშვიდობო პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით და მისი ჩართულობაც საკმაოდ საგრძნობი იყო ისეთ ოპერაციებში, როგორიცაა Concordia, Althea, Atalanta და სხვები. აღნიშნული კონტრიბუცია დიდი ბრიტანეთის მხრიდან ხორციელდებოდა იმ პირობით, რომ ევროკავშირი დაიცავდა „წითელ ხაზებს“ ნატოსთან ურთიერთობაში და მოერიდებოდა მისი ფუნქციების დუბლირებას. (იქვე) ამის მიუხედავად მოგვიანებით მაინც შესამჩნევი გახდა დიდი ბრიტანეთი ჩართულობის საგრძნობი შემცირება, რაც ნაწილობრივ ახალი ლეიბორისტული მთავრობის პოლიტიკით იყო განპირობებული და ბრიტანეთი მკვეთრად დესტრუქციული როლის მქონე მოთამაშე გახდა, განსაკუთრებით ევროპის თავდაცვის სააგენტოს ფუნქციონირების საკითხზე. ბრიტანეთმა ფაქტიურად გამოიყენა სეინტ მალოს შეთანხმება საკუთარი პრესტიჟის ზრდისთვის, თუმცა საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებები ბოლომდე არ შეასრულა და ფაქტიურად მისი დამსახურებაა, რომ ლისაბონის ხელშეკრულებით გასათვალისწინებელი მუდმივი სტრუქტურული თანამშრომლობის ელემენტი ამ დრომდე მხოლოდ ფურცელზე რჩება (იქვე)

დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის ფონზე, ევროკავშირს ესაჭიროებოდა ახალი ინტეგრაციული ბიძგი, სულ მცირე, იმისათვის, რომ თავიდან აერიდებინა ფრაგმენტაცია, რათა Brexit-ის მოლაპარაკებები კავშირისთვის ევროკავშირისთვის სასარგებლოდ ან სულ მცირე მინიმალური ზარალით დასრულდეს.

ევროკავშირმა რეფერენდუმის შემდგომი პერიოდი ოსტატურად გამოიყენა, რათა საჭირო მომენტში ევროპის ახალი გლობალური სტრატეგიის, 2016 წლის ევროპის პარლამენტის ანგარიშზე და ევროპის თავდაცვის White Paper-ის შექმნილი ფონი დროულად გამოეყენებინა თამამი ინიციატივის გაჟღერებისთვის.

დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის წარმომადგენლის ბილ ეტერიჯის აზრით, სრულიად შეშლილია, ის ვინც ევროპის არმიის იდეას ემხრობა, რადგან ისინი ევროპულ სუპერძალაზე ოცნებობენ. როგორც ჩანს, რიტორიკა იმის თაობაზე, რომ ევროკავშირის თავდაცვითი შენგენი ნატოს შესაძლებლობების კომპლემენტაციას მოახდენს მისი დუბლირების ნაცვლად, არადამაჯერებლად ჟღერს. (Maddox, 2017)

ამ ეტაპზე ჯერჯერობით ადრეა იმაზე, საუბარი თუ როგორი დინამიკა ექნება დიდი ბრიტანეთის ევროკავშირთან ურთიერთობას, თუმცა ამ ეტაპზე ცალკეული კვლევითი ორგანიზაციების გამოთქვამენ ვარაუდს, რომ იმის გათვალისწინებით თუ რა დროის განმავლობაში და რა ინტენსივობით იყო ჩართული დიდი ბრიტანეთი ევროკავშირში, იგი შესაძლოა ინტეგრირებულ მოთამაშედ დარჩეს და მონაწილეობა მიიღოს საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში არაწევრი ქვეყნის სტატუსით. ამავე სტატუსით შესაძლოა მან ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებში და სამუშაო ჯგუფებშიც მიიღოს მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ამ დონის და ფორმის ურთიერთობა სხვა არცერთ ქვეყანასთან არაა, შესაძლოა ბრიტანეთმა ასოცირებული პარტნიორის როლი მოირგოს, მსგავსად ნორვეგიისა და შეუერთდება ევროკავშირის დეკლარაციებს საგარეო პოლიტიკის საკითხებზე,

რისთვის სპეციალური დიალოგის ფორმატი შესაძლოა შემუშავდეს. (Whitman, 2016, გვ. R44)

ამ ყველაფრის მიუხედავად ევროკავშირს მაინც მოუწევს იმ ფაქტთან შეგუება, რომ მან სამიდან ერთი ძლიერი სახელმწიფო დაკარგა, რომელიც ასევე წარმოადგენს მსოფლიოს მოწინავე ფინანსურ ცენტრს, ხიდს აშშ–თან მსოფლიოს ზომით მეხუთე ეკონომიკას და მისი ევროკავშირის რიგებიდან გასვლით ზოგიერთი ანგლოფილური ქვეყანა, მაგალითად ირლანდია, ნიდერლანდები, შვედეთი და დანია, შესაძლოა გარკვეულწილად იზოლირებულად აღმოჩნდნენ და ნაკლები მოტივაცია ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ გერმანია–საფრანგეთის ისეთ თამამ პროექტებში, რომელიც ევროპის თავდაცვითი გაერთიანებაა. (Dumoulin, 2016, გვ.2)

2016 წლის ნოემბერში ფედერიკა მოგერინი ევროპის თავდაცვის სააგენტოს კონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საუბარია კონკრეტულ ნაბიჯებზე და არა თეორიულ დისკუსიაზე. მისი განცხადება ეხმიანება ნაშრომის თეორიულ ბაზასაც, რადგან მოგერინიმ ისაუბრა ისტორიულ წინაპირობებზე და დამფუძნებელი მამების ჩანაფიქრზე განჭვრეტაზე, რომ ჭეშმარიტი კავშირი ვერ დაეფუძნებოდა მხოლოდ ეკონომიკურ ინტეგრაციას. მისივე თქმით, ევროკავშირში არსებობენ ორი ტიპის ქვეყნები: პატარები და ისეთები რომელთაც ჯერ ეს ფაქტი ვერ გააცნობიერეს. ამიტომ შეეცადა ხაზი გაესვა კავშირის აუცილებლობაზე და ერთიანობის შენარჩუნებაზე. (European Defence Agency Conference, 2016)მოგერინის თქმით არ არსებობს რაიმე კონკრეტული წინაღობა, გარდა პოლიტიკური ნებისა. ამასთან ერთად ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, რომ ევროკავშირს ლისაბონის ხელშეკრულებით უკვე აქვს საჭირო ინსტრუმენტები უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის და ამ მხრივ ინიციატივაში რევოლუციური არაფერია. სწორედ ამიტომ თავდაცვით სფეროში ინტეგრაცია უფრო მეტად ევოლუციურია ვიდრე რევოლუციური. (იქვე)

ასევე ცალსახად შესამჩნევი იყო მოგერინის მიერ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ე.წ. „ევროპული გზის“ ხაზგასმა, რაც მოგერინის თქმით

გულისხმობს უსაფრთხოების უზრუნველყოფას თანამშრომლობის გზით. მანვე დაამატა, რომ ეს ყველა რთული გზაა, თუმცა ყველაზე სტაბილური უსაფრთხოების გარანტიას იძლევა. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ამით იმის ხაზგასმა ხდება, თუ რატომაა საჭირო ევროპული უსაფრთხოების განვითარება ნატოსთან ერთად რადგან, ევროკავშირი შეავსებს ნატოს შესაძლებლობებს და შესაძლოა მიაღწიოს იმასაც კი რასაც ნატო ამ ეტაპზე ვერ ახერხებს. (იქვე)

ის ფაქტი, რომ ევროკავშირი ცდილობს თეორიული დებატებიდან გამოსვლას და კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, მას იმედს აძლევს, რომ მიაღწევს სტრატეგიულ ავტონომიას, რაც ათწლეულების განმავლობაში მიუღწეველი იყო, თუმცა აქაც აშკარად ჩანს პროცესის ევოლუციური სახე.

ნატო და აშშ–ის როლი ევროპის უსაფრთხოებაში

ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის განზომილების ნატოსთან დაახლოება 2002 წლიდან დაიწყო, როდესაც გაფორმდა შეთანხმება და განიმარტა, რომ ევროკავშირს ექნებოდა შესაძლებლობა გამოეყენებინა ნატოს დაგეგმვითი შესაძლებლობები და რესურსები, ასევე მოხდება საიდუმლო ინფორმაციის გაცვლა და მოხდებოდა კოორდინირება ევროკავშირის ხელმძღვანელობით მართულ კრიზისების მენეჯმენტის ოპერაციებში, სადაც ნატო არ იყო ჩართული. ამას მოგვიანებით მოჰყვა Berlin Plus-ის შეთანხმებები, რის შედეგადაც მოხდა მუდმივი ფორმატების ჩამოყალიბება პოლიტიკურ და სამხედრო დონეზე კონსულტაციებისთვის. სწორედ აღნიშნული თანამშრომლობის შედეგი იყო, იყო ოპერაცია Concordia მაკედონიაში 2003 წელს და ოპერაცია Althea ბოსნია–ჰერცოგოვინაში 2004 წელს. (Graeger, 2016 გვ. 482)

ცივი ომის პერიოდში ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი იყო უსაფრთხოების ის მთავარი ქოლგა, რომელიც ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს ვარშავის ბლოკის ქვეყნებისგან, პირველ რიგში, კი საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხისგან იცავდა. მისი ეფექტურობის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი იყო არა მარტო მისი აკუმულირებული სამხედრო რესურსი, ძირითადად აშშ–ის ხარჯზე, არამედ მისი წესდება და მე–5 მუხლი, რომელსაც უსაფრთხოებაში კოლექტიური ელემენტი შემოჰქონდა და შედეგად ერთი ქვეყნის უსაფრთხოებას ყველა დანარჩენს უკავშირდება. საინტერესოა, რომ ეს ფაქტიურად ბირთვული შეკავების ნაწილად შეიძლება განიხილოს, ვარშავის ბლოკის ქვეყნების იმის შემოწმება იყო თუ არა კოლექტიური უსაფრთხოება ბლეფი, ბირთვული ომის შესაძლებლობად დაუჯდებოდათ, ამიტომ რისკი საგრძნობლად იზრდებოდა. (იქვე)

დასავლეთი ცივი ომიდან გამარჯვებული გამოვიდა და იმ პერიოდიდან დაიწყო დებატები იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ნატოს მომავალი ფორმა ჩრდილო–ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების არქიტექტურაში.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც ასევე ნატოს წევრებიც იყვნენ, თითქოს ეგუებოდნენ იმ აზრს, რომ უსაფრთხოების კომპონენტს კონტინეტზე ნატო უზრუნველყოფდა და თანახმა იყვნენ ევროკავშირის თავდაცვის და უსაფრთხოების კომპონენტის ძირითადად ჰუმანიტარული და სამშვიდობო მისიები მიმართულებით განვითარება მომხდარიყო, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ნატოს სიძლიერის უდიდესი წილი აშშ–ის სამხედრო ბიუჯეტს ეყრდნობოდა და ფაქტიურად ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი თითქმის Free Riding-ის პრინციპით იყვნენ ალიანსში.

ერაყის და მოგვიანებით ავღანეთის კამპანიამ აშშ–ის გააძლიერა დებატები აშშ–ის როლზე ნატოში და აშშ–იც უფრო ფრთხილი გახადა სამხედრო ძალის გამოყენების საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს დანარჩენი წევრების მიმართ აშშ–ის მოწოდება სამხედრო ბიუჯეტის გაზრდის თაობაზე ტრამპის ადმინისტრაციას მიეწერება, ეს პროცესი ჯერ კიდევ ობამას პრეზიდენტობის დროს დაიწყო. ამან ბუნებრივია შეამზადა ფონი და შექმნა შესაბამისი განწყობა ევროპის დედაქალაქებში.

ევროპაში სამხედრო ინტეგრაციის გააქტიურებაზე ინიციატივა ჯერ კიდევ ტრამპის გაპრეზიდენტებამდე გაჟღერდა, თუმცა წინასაარჩევნო პერიოდში ტრამპს უკვე გაჟღერებული ჰქონდა საკუთარი შეხედულება ნატოზე, რომელიც მან მოიხსენია, როგორც „მოძველებული“. უსაფრთხოების ქოლგა საკუთარ ფუნქციას ასრულებს იმ დრომდე, სანამ არის ნდობა და კოლექტიური განცდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ის შენ დაგიცავს, აშშ–ის შეცვლილმა პოლიტიკამ და ეს განცდა ფუნდამენტურად შეარყია. (Willis, 2016, გვ.13)

ამან ევროინტეგრაციონისტებს მისცა ისტორიული შანსი გაემართლებინათ საკუთარი მისწრაფებები, რადგან შეეძლოთ დაპირისპირებოდნენ დიდ ბრიტანეთს და რიგ სხვა პატარა ქვეყნებს, რომლებიც ბლოკავდნენ ევროკავშირის ნებისმიერ მცდელობას მოეხდინა ნატოს ფუნქციების დუბლირება. ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან–კლოდ იუნკერმა რამდენჯერმე ხმამაღლა გააკეთა მოწოდება ევროკავშირის თავდაცვაზე, რადგან მისი აზრით სიტუაცია იცვლება და დროსა ევროკავშირის ქვეყნებმა მოახდინონ ჯარის და სამხედრო ინდუსტრიების ინტეგრირება. http://www.reuters.com/article/us-eu-defence-juncker-idUSKBN1900UR

მიუხედავად იმისა, რომ დონალდ ტრამპმა გაპრეზიდენტების პერიოდიდან მოყოლებული არაერთხელ აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები ევროპელი პარტნიორების მიმართ აღებული ვალდებულებების ერთგული რჩება და რომ განაგრძობს ნატოს ფარგლებში აქტიურ თანამშრომლობას, ამან ვერ უშველა აშშ–ის როგორც სანდო პარტნიორის შერყეულ იმიჯს, რაც კარგად გამოიყენეს ევროპელებმა. იუნკერის განცხადებით, უკვე ვეღარ მოხდებს ნატოს გამოყენება გაზრდილი ევროპული ძალისხმევის საწინააღმდეგო არგუმენტად, ვინაიდან აშშ აღარაა დაინტერესებული უზრუნველყოს ევროპის უსაფრთხოება ევროპის ნაცვლად. (იქვე)

სადაოა, რამდენად რეალური იქნებოდა ამგვარი ინიციატივების გააქტიურება რომ არა დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება ევროკავშირის დატოვების თაობაზე, თუმცა ცალსახაა, რომ მისი სახით, ერთ–ერთი მთავარი წინააღმდეგობა მოიხსნა და ახლა ის ქვეყნები რომლებიც ამგვარი ინიციატივას ეწინააღმდეგებიან

მარგინალურები არიან საფრანგეთს, გერმანიას და იტალიას შორის არსებული მყარი კონსენსუსის ფონზე.

საინტერესოა, რომ თავდაცვით სფეროში ინტეგრაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ ისეთი ქვეყნებიც, როგორიცაა ლიტვა და ლატვია. ამ ქვეყნებისთვის, როგორ უშუალოდ რუსეთის მოსაზღვრე და აქტიური წნეხის ქვეშ მყოფი ქვეყნებისთვის, კრიტიკული მნიშვნელობისაა ის როლი, რასაც ნატო თამაშობს აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერებაში. გამომდინარე აქედან ნებისმიერი მცდელობა, რომ ირიბად და პირდაპირ ძირი გამოეთხაროს ალიანსის ეფექტურობას აღმოსავლეთ ევროპაში, უშუალო ასახვა ექნებათ მათ ეროვნულ უსაფრთხოებაზე .

მეორე მხრივ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ ევროპის თავდაცვითი პოლიტიკის ეფექტურობა და მეტი კოორდინირების შესაძლებლობა უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება. როგორც ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა მაიკლ ფელონმა აღნიშნა, ევროკავშირის როლი თავდაცვით სფეროში მცირდება, ვინაიდან ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შემდგომ, ნატოს სამხედრო დანახარჯების 80% ევროკავშირის გარედან განხორციელდება და აღმოსავლეთ ევროპაში 4–დან 3 ქვეყანა, რომელიც ნატოს მიერ რუსეთის შეკავების ძალისხმევას უძღვება, ევროკავშირის წევრი ქვეყანა არაა. https://www.theguardian.com/politics/2017/mar/31/uk-defence-role-us-eu-michael-fallon-nato-james-mattis-meeting

ბუნებრივია და უკვე აღინიშნა კიდეც, რომ ევროპა ჯერ ძალიან შორსაა ეფექტური სტრატეგიული ავტონომიისთვის და ამ ფაქტს ყველა აცნობიერებს, სწორედ ამიტომ ხდება ხაზგასმა, რომ ინიციატივა ნატოს დაეხმარება, რადგან ძლიერი ევროკავშირი, ძლიერ ნატოს გულისხმობს. თუმცა ისიც აშკარაა, რომ გეოგრაფია მნიშნელოვანია და მხოლოდ ლოგიკურია, რომ გეოგრაფიულად შედარებით კონცენტრირებულად მდებარე ქვეყნებს შორის უფრო მეტი კონსენსუსი და მზაობა იარსებებს, ვიდრე ისეთ ფართო რეგიონში, როგორიც ჩრდილო–ატლანტიკური სივრცეა. აქედან გამომდინარე, კონტინენტის წინაშე მდგარ გამოწვევებზე საპასუხოდ

პირველ რიგში კონტინეტის ქვეყნები არიან მზად და თავად ევროპაშიც მზაობის თვალსაზრისით განსხვავებაა იმ ქვეყნებს შორის რომლებიც უფრო ახლოს არიან აღმოსავლეთ ფლანგთან და უშუალოდ ესაზღვრებიან რუსეთს, მაგალითად ბალტიისპირეთი და პოლონეთი. ამ ქვეყნებს ყველაზე მეტი მოტივაცია აქვთ, რომ ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა მაქსიმალურად ქმედითი იყოს, რადგან ეს ეფექტურობა პირდაპირ გარდაიქმნება მათი უსაფრთხოების განცდაზე, სწორედ ამიტომ თუნდაც ეთანხმებოდნენ ევროპის თავდაცვითი პოტენციალის ზრდის აუცილებლობას, აცნობიერებენ, რომ ევროპას ძალიან დიდი დრო დასჭირდება, რომ საკუთარი რესურსებით შეძლოს აშშ–ის ძალის დაბალანსება და ალტერნატიული ცენტრი შექმნა, გარდამავალ პერიოდში, კი რუსეთის შემაკავებელ ძირითადად ფაქტორად აშშ–ის სამხედრო ძლიერებაა და ევროპის ერთიანობა არაეფექტური ინსტრუმენტია, როცა საქმე მათი საზღვრების დაცვას შეეხება.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი მრავალმხრივი პროექტებით მჭიდროდაა დაკავშირებული ნატოს სტრუქტურაზე, მაინც იგრძნობა, რომ ორგანიზაციები მაინც კონკურენციის პირობებში იმყოფებიან. ევროპარლამენტის მიერ გამოქვეყნებულ ბრიფინგშიც კი, რომელიც როგორც წესი, სტანდარტული დიპლომატიური ენითაა განსმჭვალული და ბოლომდე მოშორებულია რადიკალურ ლექსიკას, გარკვევით აღნიშნავს, რომ თანამშრომლობის მიუხედავად ევროკავშირი და აშშ თავდაცვის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტები არიან და შესაბამისად არსებობს საგრძნობი რისკი, რომ ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა ამ სფეროში პროტექციონისტულ ან ნაციონალისტურ მიდგომებს შეეწირება. (Perspectives on transatlantic cooperation გვ.9)

დიდი გამოხმაურება მოჰყავს ბრიუსელში მიმდინარე წლის 25 მაისს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიმართვას ნატოს ლიდერების მიმართ. მიმართვის ტექსტი თავდაპირველად შეიცავდა ნაწილს, რომელიც ცალსახად უსვამდა ხაზს, რომ იმ მრავალი საფრთხის ფონზე, რაც ალიანსის წინაშე არსებობს, აშშ ურყევად დაიცავს ვალდებულებებს ნატოს მიმართ და მისი წესდების V მუხლს. (Glasser, 2017) იმ ფონზე, როდესაც ტრამპის მიმართ უნდობლობა მისი წინასაარჩევნო რიტორიკის გამო არ

განელებულა, ამ ფაქტმა დამატებითი ეჭვები გააჩინა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენადაა მზად აშშ შეასრულოს ალიანსის წინაშე აღებული პირობები და ხომ არ ხდება კოლექტიური თავდაცვის შეკავებითი ელემენტის როლის შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ ვიცე–პრეზიდენტმა პენსმა და სახელმწიფო მდივანმა ტილერსონმა საკუთარ გამოსვლებში არაერთხელ გაუსვეს ხაზი აშშ ურყევ პოზიციას ნატოსთან მიმართებაში, ამან აშშ ოფიციალურ რიტორიკას დამაჯერებლობა არ შემატა და ბუნებრივია ეს ბრიუსელში და ევროპის სხვა დედაქალაქებში კონკრეტულ პოლიტიკურ პრიორიტეტებში გარდაიქმნება. კოლექტიური უსაფრთხოება ცალსახად ურთიერთნდობას ეფუძნება და ტრამპის ურთიერთსაწინააღმდეგო რიტორიკის და რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის ფაქტზე საბოლოო სურათის არაარსებობის ფონზე, ბუნებრივია, რომ ევროკავშირის ეცდება არასანდო ელემენტზე დამოკიდებულება შეამციროს და საკუთარი თავდაცვითი და უსაფრთხოების ელემენტი გააქტიუროს, თუმცა სანამ ეს რაიმე ხელშესახებ ძალაში გარდაიქმნება, ევროპა ვერ დარჩება უსაფრთხოდ ნატოს და პირველ რიგში აშშ–ის რესურსების გარეშე, ამიტომ არაა გასაკვირი, თუ რატომაა ევროკავშირი თავდაცვით რეჟიმში და რატომ უწევთ ევროპელ ბიუროკრატებს განუწყვეტლივ იმის მტკიცება რომ თავდაცვითი შენგენი ნატოს პოტენციალის გააძლიერებს და არ ისახავს მიზნად მის ჩანაცვლებას.

ლტოლვილების კრიზისი, ტერორიზმი და რუსეთიდან მომდინარე საფრთხე

ამ კონკრეტულ ქვეთავში რამდენიმე დამოუკიდებელი ცვლადის, მოვლენის ერთად თავმოყრა შემთხვევითი არ ყოფილა, ვინაიდან როგორც ევროკავშირის თავდაცვითი ინიციატივის მაინიცირებლები, სამივე მოვლენამ, ტენდენციამ მსგავსი

ეფექტი მოახდინეს და მსგავსი შედეგები მოიტანეს ევროკავშირისთვის – შეარყიეს მისი საერთაშორისო იმიჯი, ერთიანობის განცდა და მოახდინეს მისი უუნარობის დემონსტრირება.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ბევრი ფედერალისტის ოცნების მიუხედავად ჯერ კიდევ ბევრი მნიშნელოვანი კომპონენტი არ აქვს სრულფასოვანი სახელმწიფოდ წარმოჩენისთვის, ის, რასაც იგი ათწლეულების განმავლობაში ცდილობდა, იყო ერთიანობის განცდის შენარჩუნება. ეს ერთიანობა ეფუძნებოდა იმის დემონსტრირებას, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები იზიარებდნენ და იზიარებენ საერთო ფასეულობებს, აღიარებენ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და ემხრობიან დემოკრატიულ პრინციპებს. ბუნებრივია ამ ერთიანობის განცდის მშვიდობიანობის პერიოდში შემოწმება არ იქნებოდა სწორი, რადგან სისუსტეები მხოლოდ კრიზისის და მწვავე გამოწვევების პერიოდში ვლინდება.

ლტოლვილების კრიზისი, რომელიც ახლო აღმოსავლეთიდან, ძირითადად სირიის სამოქალაქო ომს გამოქცეული ლტოლვილების გამო გაჩნდა იყო ერთგვარი ტესტი ევროკავშირის ერთიანობისთვის, რომელიც მან წარმატებით ვერ გაიარა. ამ კრიზისის პირობებში პირველ რიგში გამოჩნდა, რამდენად არაეფექტური შეიძლება იყოს ევროკავშირის კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც დროს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს კვოტებზე გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება კარვების ქალაქებს რაოდენობაში და ზომაში ზრდიდა. ევროკავშირის მიერ პოლონეთის და უნგრეთის მთავრობებზე განხორციელებული ზეწოლა, რომ დაეკმაყოფილებინათ ლტოლვილების რაოდენობის კვოტა, უარყოფითად იქნა აღქმული ამ ორი ქვეყნის დედაქალაქებში, რაც თავის მხრივ ბრიუსელში განიმარტა, როგორც საფრხე ამ ორი ქვეყნის პოზიციებისთვის ბლოკში. (Kettley, 2017) არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ხდება კავშირში, რომელიც სიამაყით აცხადებდა, თუ რამდენად მყარი იყო ერთიანობის განცდა და სოლიდარობა წევრ ქვეყნებს შორის, თუმცა კრიზისის პერიოდში, რიგ ქვეყნებს გაუჩნდათ განცდა, რომ ბრიუსელში მიღებული გადაწყვეტილებით ისინი

უფრო მეტად ზარალდებოდნენ ვიდრე სხვები და ამ უსამართლობის განცდამ ცალსახად დიდი დარტყმა მიაყენა მანამდე არსებულ სოლიდარობას.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ლტოლვილების კრიზისმა ევროკავშირში ერთგვარი უსაფრთხოების დილემა გააჩინა და აშკარად შეძლო შენგენის ზონის დესტაბილიზაცია. ამ შემთხვევაში უსაფრთხოების დილემამ კონკრეტული გამოხატულება ჰქონდა ტენდენციაში, რომლითაც შენგენის ზონაში შემავალი ქვეყნები, ნაცვლად იმისა, რომ ახდენდნენ მულტილატერალიზმის თანამშრომლობითი ნორმების უტილიზებას, სულ უფრო შორდებიან ამ პრინციპებს და კრიზისების პერიოდში უფრო ხშირად ეყრდნობიან მოქმედების უნილატერალურ თავდაცვით პრაქტიკას. (Blanc 2016, გვ 21)

კიდევ ერთი მნიშნელოვანი უარყოფითი შედეგი, რის გამოც ბევრ ევროპელს ლტოლვილთა კრიზისმა ევროპის ერთიანობის ილუზია დაუმსხვრია, მდგომარეობს შიდა და გარე საზღვრის რეინტერპრეტირებაზე. გამშვები პუნქტების გაძლიერება მაგალითად ჩეხეთ–ავსტრიის საზღვარზე მიანიშნებს, იმაზე, რომ გარე საზღვრად არა შენგენის გარე საზღვარი არამედ თავად კონკრეტული ქვეყნის საზღვარი ითვლებოდა, რადგან იყო შიში და უნდობლობა, რომ სხვა ქვეყანა ლტოლვილებს საზღვარზე გამოატარებდა. ამან კარგად აჩვენა, თუმცა რამდენად შორსაა ევროპა ჭეშმარიტი ერთიანობისგან, რომელიც პირველ რიგში ურთიერთნდობას უნდა ეფუძნებოდეს. (იქვე, გვ. 22)

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსირებას და აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის პროვოცირებას წინ უძღოდა უკრაინელი ხალხის პროტესტი, რაც პრეზიდენტ იანუკოვიჩის მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე მოლაპარაკებების შეჩერებას მოჰყვა და ხანგრძლივმა საპროტესტო ტალღამ საბოლოოდ ხელისუფლების შეცვლა გამოიწვია, ამის საპასუხოდ ყირიმი უკანონო რეფერენდუმით რუსეთს შეუერთდა აღმოსავლეთ უკრაინაში კი ე.წ. დონეცკის და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკები შეიქმნა. იმ ფონზე, რომ ის მძიმე სიტუაცია, რომელშიც დღეს უკრაინა იმყოფება უკრაინელი ხალხი ევროპული ფასეულობებისადმი სწრაფვამ გამოიწვია,

ევროკავშირს განსაკუთრებული პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა აკისრია, რომ სიტუაცია დაარეგულიროს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ევროკავშირის როლი ეფექტურობის ელემენტს მოკლებული იყო. ამ შემთხვევაში უნდა გამოჩენილიყო ევროკავშირის ქვეყნების მზაობა დაეცვათ საკუთარი ფასეულობები, თუმცა მათ ეს ვერ შეძლეს, რადგანაც კონფლიქტის უკან იდგა რუსეთი და „ყოფილი სუპერძალის რევანშისტული“ ინსტინქტები, რომელიც კონსოლიდირებულია იმ იდენტობის გარეშემო რომელიც საკუთარ თავს დასავლურ ნორმებთან და ფასეულობებთან დაპირისპირებით განსაზღვრავს. უნდა ხაზი გაესვას, რომ ევროკავშირმა ნაწილობრივ მაინც შეძლო კონსოლიდირებული პოზიციის წარმოჩენა სანქციების პაკეტის ფორმით და ევროკავშირის ქვეყნებმაც ერთიანად დაგმეს რუსეთის აგრესია, მაგრამ თუ ეფექტურობაზე შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, რუსეთის ეკონომიკამ მიიღო დარტყმა, თუმცა ამან იგი არ აიძულა, რომ გადაწყვეტილება შეეცვალა. ამან მოახდინა არა მარტო ევროკავშირის და არამედ მთლიანად დასავლეთის უუნარობის წარმოჩინება, ვინაიდან მოლაპარაკებებით ამ ეტაპზეც ვერ ხერხდება ცხელის ომის შეჩერება, რადგან რუსეთის ინტერესებშია უკრაინაში დესტაბილიზაციის კერის შენარჩუნება, რაც მის ევროპულ მისწრაფებებს მკვეთრად დააზარალებს. ამ კრიზისმა აჩვენა ისიც, რომ საერთო ფასეულობების სივრცე მხოლოდ ევროატლანტიკური სივრცით შემოფარგლება, რადგან სანქციების პაკეტის შემუშავებისას სხვა მოთამაშეებმა, როგორიცაა ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი და სამხრეთ აფრიკა, რომლებიც რუსეთთან ერთად ე.წ. BRICS ქვეყნებად მოიხსენებიან, უარი თქვეს შეერთებოდნენ დასავლეთის სანქციების პოლიტიკას და უფრო მეტიც, მათ შექმნილი ვაკუუმი რუსეთთან ხელსაყრელი კომერციული შეთანხმებების გაფორმებისთვის გამოიყენეს. (Alcaro, 2015 გვ.20). ამის ფონზე უკვე ცხადი აღარაა ვინ გაიმარჯვა დიპლომატიურ ომში, რადგან ჩანს, რომ დასავლეთის, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნების ძალისხმევა, სულ მცირე შეზღუდული იყო და არ გააჩნდა ეფექტურობის მაღალი დონე, თანაც დროდადრო ეროვნული მთავრობების წარმომადგენლები დღის წესრიგში აყენებდნენ მკაცრი სანქციების პოლიტიკის

შერბილების აუცილებლობას, რაც რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს და მისი ლობის აქტიურ მუშაობას უნდა მივაწეროთ, თუმცა აშკარაა, რომ ამას მაინც შეჰქონდა ბზარი ევროკავშირის ერთიანი პოზიციის სიმტკიცეში. (იქვე, გვ.22)

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ევროკავშირის უუნარობა განპირობებულია არა ერთიანობის ნაკლებობით, ან სამხედრო ბიუჯეტის და ამ სფეროში კოორდინაციის ნაკლებობით, არამედ რწმენით, რომ ცივი ომის შემდგომი რუსეთ–ევროპის ურთიერთობა ორმხრივად მომგებიანი win-win თამაშია და რომ ევროკავშირი საკუთარ თავს ხედავს როგორ კეთილმოსურნე ძალას, რომელსაც მისი აზრით არცერთი გონიერი აქტორი არ განიხილავს საფრთხედ. (იქვე, გვ.23)

ასევე გონივრულია ის არგუმენტიც რომ ევროკავშირმა და სრულიად დასავლეთმა სანქციების პოლიტიკით კრემლს შეაძლებინა ის, რასაც იგი საკუთარი ძალებით ვერ შეძლებდა, კერძოდ რუსული ელიტა რუსეთისკენ შემოაბრუნა და ჩამოაშორა ისინი დასავლურ კავშირებს, რომლთაც ისინი ბოლო 25 წლის განმავლობაში ამყარებდნენ. (იქვე, გვ.23)

რაც არ უნდა იყოს ქვემდებარე მიზეზი რეალობა აშკარად აჩვენებს რომ აღმოსავლეთ ევროპაში ახალი დესტაბილიზაციის ცენტრი გაჩნდა და ევროპა ვერც ნატოს და ვერც ევროკავშირის ფორმატში ვერ ახერხებს ამ ჩიხიდან გამოსვლას და ამან შეამცირა როგორც მისი საერთაშორისო პრესტიჟი, ისე ევროკავშირის მოქალაქეების დაცულობის დონე, რაც ხსნის რატომაა მოსახლეობის 2/3 თანახმა ევროკავშირის თავდაცვითი და უსაფრთხოების პოტენციალის გაზრდაზე. მოსახლეობას აღარ აქვს დაცულობის გრძნობა რაც მანამდე გააჩნდა. ცალსახაა, რომ ამას მხოლოდ რუსეთის აგრესიას ვერ დავაბრალებთ, რადგან, ამ მხრივ, დიდი როლი ითამაშა ევროპის ქალაქებში გახშირებულმა ტერორისტულმა თავდასხმებმა. რომ არა ამ მოვლენების კომბინირებით გენერირებული იმპულსი ევროფილებს და ფედერალისტებს ძალიან გაუჭირდებოდათ მხარდაჭერის მობილიზება თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში გადადგმული იმ მცირე ნაბიჯებისთვისაც კი, რაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელდა.

ამ ყველაფერთან ერთად ტერორიზმი ის თემაა, რა დროს რესურსების გამოყოფაზე მეტად, ყველაზე ეფექტური ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობაა და უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ერთიანობა მართლაც შეინიშნება, განსაკუთრებით ბელგიაში, გერმანიაში, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში მომხდარი ტერაქტების ფონზე. ამან ცხადია გაზარდა დაუცველობის გრძნობა მოსახლეობაში. ამას ემატება ტერორისტების ახალი მეთოდები, როდესაც ისინი ასაფეთქებელი მოწყობილობის ნაცვლად მანქანებს იყენებენ და ღიად იჭრებიან ბრბოში, ეს კი უფრო მეტად ართულებს სამართალდამცავების საქმეს.

თეორიული ჩარჩო

აღნიშნული ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია პოლ პირსონის ევროინტეგრაციის თეორია, რომელსაც იგი ისტორიული ინსტიტუციონალიზმის პერსპექტივიდან ხსნის. პირსონი კარგად ხსნის იმ შეზღუდვებს, რომელიც არსებობს ევროინტეგრაციის მთავრობათშორის და ნეო–ფუნქციონალურ ახსნებში, რაც ინტეგრაციის პროცესს უფრო სრულად წარმოაჩენს და წარმოაჩენს ეროვნული თუ ზეეროვნულ შორის ძალის დინამიკის თავისებურებებს. პირსონის აზრით ნეო–ფუნქციონალისტური და მთავრობათშორისი ინტეგრაციის თეორიები ვერ ხსნიან რითაა განპირობებული კონკრეტული ინსტიტუტების შექმნა და იმას, თუ როგორც იცვლება ინსტიტუტები დროთა განმავლობაში. პირსონის აზრით არსებიბს ოთხი შეზღუდვა, რის გამოც ინსტიტუტების მოქმედების ფორმა განსხვავდება მათი შემქმნელი სოციალური აქტორების განზრახვებისგან. (Pierson, 1994, გვ.6)

პირველ რიგში აქ იგულისხმება მრავალმხრივი ეფექტები რომლებიც ინსტიტუტების შექმნას თან სდევს. ახალმა ინსტიტუტებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალონ როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ისე ეროვნული მთავრობების და სუპრანაციონალური ინტიტუტების როლი ამ ინსტიტუტის შიგნით. ამასთან პირსონი ხაზს უსვამს რომ ინსტიტუტების შემქმნელები ყოველთვის არ მოქმედებენ ინსტრუმენტალურად და რომ შესაძლოა მოკლევადიანი გეგმები გააჩნდეთ კონკრეტული ინსტიტუტის მომავალზე. პირსონის აზრით ინსტიტუტებს შესაძლოა გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყვეს და ამ შემთხვევაში როგორი ინსრტუმენტალური და გრძელვადიანიც არ უნდა იყოს ინსტიტუტის შემქმნელის ქმედება, მოულოდნელი შედეგის ალბათობა მაინც დიდია, რაც თავიდანვე ასუსტებს იმ არგუმენტს, რომ ინსტიტუტები რაციონალურ საფუძველზე იქმნება. (იქვე, გვ.7)

პირსონის აზრით ისტორიული დეტერმენიზმი მოქმედებს, რადგან ხშირად უფრო მარტივია არჩეულ გზას მიჰყვე, ვიდრე ახალი შექმნა. ამ მხრივ პირსონი იყენებს არჩეულ გზაზე დამოკიდებულების ე.წ. „Path-dependancy" კონცეფციას, რომლის შედეგადაც ცალკეული მოვლენების კრიტიკული ნაერთი უკურეაქციის მექანიზმებს ააქტიურებს, რაც მომავალში კონკრეტული კონფიგურაციის განმეორებითობის ალბათობას ზრდის.(იქვე, გვ. 11)

აღნიშნული თეორიის თანახმად ნეო–ფუნქციონალისტები იმაზე მეტ ავტონომიას მიაწერენ სუპრანაციონალურ ვიდრე რეალურად გააჩნიათ და პირსონის აზრით მიუხედავად იმისა, რომ ნეო–ფუნქტიონლისტების არგუმენტები ევროკომისიის და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ყურადსაღებია, ცენტრალური გადაწყვეტილებების მიმღებები მაინც ევროპულ საბჭოში წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოების არიან (მესამე გვერდი). იმ შეზღუდვების გამო რომელიც წევრ ქვეყნებს გააჩნიათ ინტეგრაციის პროცესზე, წარმოქმნის სიცარიელეს, რომლის შევსების შესაძლებლობა სხვა აქტორებს ეძლევათ. (იქვე, გვ.4)

მიუხედავად იმისა, იყო ინსტიტუტის შექმნის მიზეზი მოკლევადიან საარჩევნო შედეგებზე გათვლილი, თუ ეროვნული სუვერენიტეტისთვის გრძელვადიანი შედეგების მქონე, პირსონი აზრით, ინსტიტუტები ყოველთვის უფრო დიდხანს არსებობენ, ვიდრე ის ინტერესებიც რამაც მათი შექმნა განაპირობა. (იქვე, გვ.5)

ინსტიტუტების არქიტექტორების ინტერესები დროთა განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს და იმ ფონზე, როდესაც ინსტიტუტების ისტორიული ევოლუციის ფონზე, მასზე კონტროლის პროცესში სიცარიელეები ჩნდება, იცვლება მანამდე ხელთ არსებული ინსტრუმენტების გამოყენების ღირებულებას ცვლის. აქ იგულისხმება გრძელვადიანი ვალდებულებებიც, რაც პოლიტიკის შეცვლის შემთხვევაში ბუნებრივია დამატებით დანახარჯებს წარმოშობს. პირსონის აზრით ინსტიტუტების შემქმნელი აქტორები შესაძლოა თავდაპირველად მყარ პოზიციას ფლობდნენ და ინსტიტუტების შექმნით საკუთარი ინტერესების მაქსიმიზაციას ისახავდნენ მიზნად, თუმცა საბოლოოდ მაინც ახორციელებენ ინსტიტუციურ რეფორმებს, რომლებიც მათ და მათი შემცვლელების პოზიციას კარდინალურად ცვლის. თავად ინსტიტუტების ევოლუცია კი, იშვიათად ექვემდებარე მკაცრ კონტროლს.

“Path dependence”-მა მომავალში შესაძლოა შექმნას პირობები, რაც კიდევ უფრო შეამცირებს არჩეული გზიდან გადახვევის შესაძლო ინიციატივას. კერძოდ, ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სფეროებში, რაც ბუნებრივია სამხედრო სფეროსაც შეეხება, ფიქსირებული დანახარჯი რაიმე კონკრეტულ ტექნოლოგიაში დამატებით ინვესტიციის შემთხვევაში მზარდ ამონაგებს იძლევა, რაც უფრო მეტად ზრდის ინდივიდის მოტივაციას, რომ არჩეულ ალტერნატივას მიყვეს. ასევე მზარდ ამონაგებს განაპირობებს დასწავლის ეფექტი, რაც კომპლექსური სისტემებით ოპერირებისას ჩნდება. მნიშვნელოვანი მაინიცირებელი გავლენა გააჩნია კოორდინაციულ ეფექტსაც, რაც მეტ მოგებას იძლევა, თუ სხვა აქტორმაც იგივე ალტერნატივა აირჩია, რაც მოცემულმა ინდივიდმა და ბოლოს, ადაპტირებადი მოლოდინები, რაც უბიძგებს ინდივიდს, რომ „სწორი ცხენი აირჩიოს“ ვინაიდან, თუ ვერ არ იარსებობს ფართო

კონსენსუსი მისი არჩევნის სისწორეზე, ამას თავისი უკუშედეგები ექნება. პირსონი აზრით, ამ პირობებში არჩეულ კონფიგურაციაზე მიდევნება და ინდივიდუალური მოლოდინები თვითაღსრულებადი ხდება. (იქვე, გვ.18)

ამგვარად ევროკავშირის კონკრეტული პოლიტიკა დროთა განმავლობაში წევრი ქვეყნების ერთგვარი ჩაკეტვას (Lock-in) ახდენს, რაც მომავალში არჩეული პოლიტიკური პრეფერენციების გადახედვას და შეცვლას ძალიან ხარჯიან წამოწყებად აქცევს, შესაბამისად ეს გაზრდილი დანახარჯები არჩეული კურსის შეცვლას არამიმზიდველ ალტერნატივად წარმოაჩნეს.

თეორია კარგად წარმოაჩენს თუ რა სისუსტეები გააჩნია ინტეგრაციის პროცესის მხოლოდ მთავრობათშორისი ელემენტებით ახსნა, რადგან ამ დროს აიხსნება მხოლოდ საწყისი მიზეზი და არ ჩანს როგორ მოხდა ინსტიტუტების ცვლილება დროთა განმავლობაში. ამ ორს შორის განსხვავების საჩვენებლად პირსონი იყენებს სურათის და ვიდეოფირის შედარებას, ერთი მხოლოდ ცალკეულ მომენტს, ამ შემთხვევაში დასაწყისს აჩვენებს, ვიდეოფირი კი დინამიურია და უფრო სრულად აჩვენებს იმ ცვლილებებს, რასაც ინსტიტუტები განიცდიან და რაც მთავარია, ნათლად ახდენს ამ ცვლილებების მიზეზების დემონსტრირებასაც. (Pierson, 1994, გვ.20)

„თავდაცვითი შენგენი“ პირსონის თეორიულ ჭრილში

პირსონის თეორიის მთავარი ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ არ ცდილობს ნეო–ფუნქციონალურ, ზეეროვნულ და ეროვნულ – მთავრობათშორის ფორმატებს შორის რომელიმე ერთის მხარდამჭერი პოზიცია დაიჭიროს, ამის ნაცვლად მისი მიზანი თეორიული სისრულის დემონსტრირება და საკითხის მრავალწახნაგოვნების რელევანტურად წარმოჩენაა.

აღნიშულ ნაშრომში აღწერილი ინიციატივა არ გულისხმობს რაიმე ახალი ინსტიტუტის შექმნას და როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლოა არა რევოლუციურად, არამედ ევოლუციურად მივუდგეთ. ინსტიტუტების ევოლუცია სწორედ ისაა, რასაც პირსონის თეორია ყველაზე კარგად ხსნის. მისი შექმნის თავდაპირველი საფუძველი ბუნებრივია მთავრობათშორისი იყო და სამშვიდობო მისიების ელემენტს არ გასცდა, თუმცა, რადგანაც ინტეგრაცია რესურსების მნიშვნელოვანი წილის დაზოგვის საშუალებას იძლევა და იმის ფონზე, რომ ბრიტანეთის გასვლით ევროკავშირმა საბიუჯეტო რესურსების მნიშნელოვანი წილი დაკარგა, ცალსახად გაჩნდა ზეწოლა მეტი ეფექტურობისთვის. ზემოთ ჩამოთვლილი დამოუკიდებელი ცვლადები, კერძოდ აშშ–ის პოლიტიკის ცვლილება ევროკავშირის მიმართ, Brexit, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და კონფლიქტი აღმოსავლეთ უკრაინაში, ევროპის კონტინენტზე ტერორიზმის გაზრდილი საფრთხე და შედეგად ევროკავშირის უუნარობა ერთიანი პოზიციის სიმყარე შეენარჩუნებინა და ეფექტურად ეპასუხა გამოწვევებზე, ეს ძირითადი, თუმცა არაამომწურავი ჩამონათვალია იმ მოვლენების და მიზეზებისა, რომელთაც აღნიშნული ინიციატივისთვის კრიტიკული ნაზავი (Critical Juncture) შექმნეს. ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა ერთდროულად წარმოადგენდა როგორ დამშვებ ფაქტორს, ისე მაინიცირებელს. დანარჩენმა მოვლენებმა კი ერთიანად მოახდინეს იმის დემონსტრირება, რომ დასრულდა თეორიული დებატების დრო და რომ კონტინენტის მეტი უსაფრთხოების გარანტირება, მხოლოდ ევროპის ქვეყნების მეტი პასუხისმგელობით მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ინიციატივა მხოლოდ მოკრძალებულ ფორმებში ხორციელდება, არსებობს საკმარისი კონსენსუსი, რათა ნაწილობრივი ინტეგრაციის ფარგლებში მოხდეს რესურსების დაზოგვის უპირატესობის დემონსტრირება. მრავალსიჩქარიანი ევროპა თავდაცვით შენგენს უფრო რეალურ იმპულსს მისცემს, რადგან თავდაპირველად მასში გაერთიანდებიან მხოლოდ ის ქვეყნები, რომელიც აშკარად ხედავენ თავდაცვის სფეროში მეტი კოორდინაციის და სამხედრო შესყიდვების საერთო სტანდარტებზე გადასვლის უპირატესობას, ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც ამ ეტაპზე თავს იკავებენ და არ არიან

დარწმუნებულნი მოხდება, თუ არა ამ ნაბიჯით ნატოს დისკრედიტირება, დააკვირდებიან და მხოლოდ შედეგებიდან გამომდინარე გადაწყვეტენ ჩაერთონ ამ ინტეგრაციულ პროექტს, თუ დარჩნენ მის გარეთ. თავად ასეთი დაყოფის ფაქტი, რასაც პოლონეთის წინააღმდეგობა მოჰყვა, რადგან მიიჩნია, რომ ამით ხდებოდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების პირველ და მეორეხარისხოვან წევრებად დაყოფა, დამატებით იმპულსს გააჩენს „მეორეხარისხოვანი“ ქვეყნებისთვის, რომ „პირველხარისხოვანთა“ რიგებში გადაინაცვლონ და ამით მრავალსიჩქარიანი ინტეგრაციის პროცესში, ისევ ერთსიჩქარიანი გახდება.

პირსონის თეორია ასევე ხაზს უსვამს, რომ არჩეული კურსისგან უფრო მეტი სარგებლის მიღება ხდება, თუ სხვა აქტორებიც იგივე კურსს არჩევენ, ამიტომ გასაკვირი არ იქნება, თუ ყოველი ახალი წევრი სახელმწიფოს ინტეგრაციის პროცესში ჩართვის შემთხვევაში უფრო მეტი მოტივაცია გაჩნდება, რომ აღნიშნული ფორმატი შენარჩუნდეს და უფრო მეტად გაფართოვდეს. იმ შემთხვევაში თუ ინტეგრაციული პროცესი იგივე ან უფრო სწრაფი ტემპით გაგრძელდა, უფრო ძლიერად გააქტიურდება „Lock-in” მექანიზმი. თუ წევრი ქვეყნები სამხედრო სფეროში შესყიდვებს ერთად განახორციელებენ და სამხედრო წარმოების კოორდინირების შედეგად და ერთიან სტანდარტებზე გადავლენ, ეს კოლექტიური წამოწყება საბიუჯეტო სახსრების დაფინანსების გამოთავისუფლების შესაძლებლობას შექმნის და ამასთან, უფრო გაიზრდება დანახარჯები მათთვის ვინც ინტეგრაციული პროექტიდან გამოსვლას განიზრახავს, ამიტომ ეს ალტერნატივა ავტომატურად არამიმზიდველი გახდება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღება აღარ გავამახვილეთ უშუალოდ ინიციატივის ავტორების ეროვნულ ინტერესებზე, რადგან როგორც პირსონი აღნიშნავს, ეს მხოლოდ საწყისი სურათია და დროთა განმავლობაში ინსტიტუტები განვითარებას თავდაპირველი ინტერესებისგან დამოუკიდებლად განაგრძნობს. ბუნებრივია დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ საფრანგეთს და გერმანიას მოუწევთ ევროპული სტრატეგიული ავტონომიის მშენებლობაში მთავარი არქიტექტორების როლის თამაში და ადმინისტრაციების ინტერესებშია, რომ

საერთაშორისო, თუ რეგიონულ ასპარეზზე, საკუთარი ქვეყნების შედარებით როლის ზრდის სტიმულირებას შეუწყონ ხელი და თავდაცვითი ინიციატივა, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ელექტორატში ხედავენ ამის საჭიროების, რაც რეჟიმის კონსოლიდაციას და ხელახლა გადარჩევის შანსებს მნიშვნელოვნად ზრდის.

დასკვნა

როგორც მოცემულ ნაშრომში ვეცადე მეჩვენებინა, 2016 წელს ფრანგულ–გერმანული ინიციატივა ბუნებრივად გამომდინარეობდა ინსტიტუტების ევოლუციური ხასიათიდან. პოლ პირსონის თეორიული ჩარჩო კარგად აჩვენებს თუ რა მნიშვნელობა გააჩნდა მოვლენათა იმ კრიტიკულ ნაერთს, რომელმაც ევროპელ ლიდერებს თამამი ნაბიჯის გადადგმისკენ უბიძგა, ნაშრომში შევეცადე კარგად მეჩვენებინა კავშირი დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის, რათა ჩემი ჰიპოთეზის სისწორის დემონსტრირება მომეხდინა. ჩამოთლილი მიზეზები, როგორც უკვე აღინიშნა, არაა ამომწურავი, თუმცა ჩემი აზრით, სწორედ ამ დამოუკიდებელმა ცვლადებმა ითამაშეს მთავარი როლი ევროკავშირის თავდაცვითი ინტეგრაციის გამოღვიძების პროცესში. დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა, აშშ–ის პოლიტიკის ცვლილება ევროპის უსაფრთხოების მიმართ, რუსეთის აგრესია აღმოსავლეთ უკრაინაში, ლტოლვილების კრიზისი და ევროპის კონტინეტზე გაზრდილი ტერორიზმის საფრთხე – ამ ფაქტორებმა ერთად და ცალ–ცალკე მოადინეს იმის დემონსტრირება, რომ ევროკავშირისთვის დადგა დრო, რომ მეტი პასუხისმგელობა აიღოს საკუთარი კონტინენტის უსაფრთხოებაზე და შეამციროს დამოკიდებულება აშშ–ის სამხედრო ძლიერებაზე.

ვიმედოვნებ ნაშრომში შევძელი იმ თეორიული სიცარიელეების შევსება, რაც ამ თემაზე არსებულ ლიტერატურაში არსებობს და საკითხის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი გავითვალისწინე.

ბიბლიოგრაფია

- *France, Italy and Germany take charge of a fast-paced project that could change defense architecture in Europe,* 2016. Retrieved 05 20, 2017https://www.neweurope.eu/article/france-italy-france-spearhead-european-defense-community/
- *European Defence Action Plan: Towards a European Defence Fund*, European Commission - Press release, Retrieved 05 20, 2017 http://europa.eu/rapid/press-release_IP-16-4088_en.htm
- Jean-Claude, Juncker *A New Start for Europe: My Agenda for Jobs, Growth, Fairness and Democratic Change*, 2014. Retrieved 05 20, 2017 https://ec.europa.eu/commission/sites/beta-political/files/juncker-political-guidelines-speech_en_0.pdf
- Pierson Paul, *The Path to European Integrations: A Historical Institutionalist Perspective,* Harvard University and Russell Sage Foundation, Program for the Study of Germany and Europe, Working Paper No. 5.2. October 25, 1994.
- *Common defence policy: Can European armies unite?* - Talking Europe, France 24, Retrieved 05 20, 2017 from; https://www.youtube.com/watch?v=Xn_1ZtLd0ZY&t=283s
- Mützel Daniel, *European Defence Union: The return of 'hard power',;* https://www.euractiv.com/section/security/news/european-defence-union-the-return-of-hard-power/
- Samuel Henry, Foster Peter, *New EU army headquarters branded little more than a 'call centre'* 2017 Retrieved 05 20, 2017 from http://www.telegraph.co.uk/news/2017/05/20/new-eu-army-headquarters-branded-little-call-centre/

- Besch Sophia, *EU defence, Brexit and Trump, The Good the Bad and the Ugly,* Center for Eurpean reform, 2016. Retrieved 05 20, 2017 from http://www.cer.eu/sites/default/files/pb_defence_14dec16.pdf
- Guay, Terrence, *At Arm's Length, The European Union and Europe's Defence Industry,* Palgrave Macmillan, 1998.
- James Bkacj, Alex, hall, Kate Cox, marta Kepe, Erik Silfersten, *Defence and Security after Brexit, Understanding the possible implication of the UK;s decision to leave the EU*, Rand Corporation, 2017 https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1700/RR1786/RAND_RR1786.pdf
- Benjamin Kienzle and Inez von Weitershausen, *Brexit has given an impetus to reshape Europe's foreign, security and defence policies* 2017 http://eprints.lse.ac.uk/75720/1/blogs.lse.ac.uk-Brexit%20has%20given%20an%20impetus%20to%20reshape%20Europes%20foreign%20security%20and%20defence%20policies.pdf
- Josef Janning, *Europeans will now decide what Europe will be,* 2016 http://www.ecfr.eu/article/commentary_europeans_will_now_decide_what_europe_will_be_7185
- Guy Verhofstadt, *Protecting Europe in the Age of Trump*, 2016 https://www.project-syndicate.org/commentary/trump-european-defense-community-by-guy-verhofstadt-2016-11
- Maddox David, *Veterans demand Brexit for DEFENCE: Report says EU army ambitions could 'undermine NATO*, 2017. http://www.express.co.uk/news/politics/773827/Veterans-demand-Brexit-defence-report-EU-army-NATO
- '*Multi-speed' Europe European Union Law*. http://eur-lex.europa.eu/summary/glossary/multispeed_europe.html

- *Arguments for and against a multi-speed Europe* http://www.debatingeurope.eu/focus/arguments-for-and-against-a-multi-speed-europe/#.WV1d64iGNhF
- *UK–EU defence and security cooperation*, Institute for Government https://www.instituteforgovernment.org.uk/brexit-explained/uk-eu-defence-and-security-cooperation
- Giovanni Faleg, *The Implications of Brexit for the EU's Common Security and Defence Policy*, CEPS 2016 https://www.ceps.eu/publications/implications-brexit-eu%E2%80%99s-common-security-and-defence-policy
- Richard G. Whitman *THE UK AND EU FOREIGN, SECURITY AND DEFENCE POLICY AFTER BREXIT: INTEGRATED, ASSOCIATED OR DETACHED?* http://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/002795011623800114
- André Dumoulin, *Brexit and European defence An in-depth analysis* 2016
- Nina Græger, *European security as practice: EU–NATO communities of practice in the making*? http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/09662839.2016.1236021?needAccess=true
- *Security and defence Achieving efficiency and resilience* Perspectives on transatlantic cooperation http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2016/589784/EPRS_BRI(2016)589784_EN.pdf
- SUSAN B. GLASSER The 27 words Trump wouldn't say, 2017 http://www.politico.eu/article/the-27-words-trump-wouldnt-say/
- SEBASTIAN KETTLEY, *Poland blasts EU over migrant crisis quotas: 'We will resist blackmail and pressure,* 2017 http://www.express.co.uk/news/world/788343/European-Union-migrant-crisis-Poland-EU-quotas-Beata-Szydlo

- Emmanuelle Blanc *Schengen area shaken: The impact of immigration-related threat perceptions on the European security communit*y, Journal of International Relations and Development, https://www.researchgate.net/profile/Emmanuelle_Blanc/publication/305210994_Schengen_area_shaken_The_impact_of_immigration-related_threat_perceptions_on_the_European_security_community/links/5791018108ae4e917d046937/Schengen-area-shaken-The-impact-of-immigration-related-threat-perceptions-on-the-European-security-community.pdf
- Riccardo Alcaro, *WEST-RUSSIA RELATIONS IN LIGHT OF THE UKRAINE CRISIS, I*AI Research Papers, 2015 http://www.iai.it/sites/default/files/iairp_18.pdf

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Alex Iasashvili

The European Defence Community Initiative – Schengen of Defence

Diplomacy and International Politics

The Thesis is submitted in partial fulfillment of the requirements for a degree of Master of Diplomacy and International Politics

Supervisor: Sergi Kapnadze

Professor

Doctor of International Relations

Tbilisi

2017